15 ნოემბერი ყველა პატიოსანი, მამულიშვილი ქართველის, ყველა პატიოსანი, პატრიოტი საქართველოს მოქალაქის გონებრივი და სულიერი სიჯანსაღისა და სიმტკიცის გამოცდის დღეა.

დღეს ყველა ჩვენგანის უპირველესი ვალია თავიანთ ბოროტ ზრახვებთან ერთად მარტონი დავტოვოთ ერისა და ბერის წინაშე დამნაშავე, პროვოკატორი და დემაგოგი ნაციონალები.

დაე, ერთხელ და სამუდამოდ დარწმუნდნენ ნაცები, რომ უკვე კარგად ჭკუანასწავლ ხალხს, რომელმაც საკუთარ ტყავზე იწვნია ნაციონალების ბოროტება, ვეღარასოდეს აიყოლიებენ თავიანთი ბნელი მიზნების მისაღწევად!

არა, არა და არა ნაციონალების საბოტაჟს!


# საქართველოს რესპუბლიკა


დაარსებულია 1918 წელს.


შაბათი, 15 ნოემბერი, 2014 წელი.

№233 (7613)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## ჩვენი პლურალიზმით უნდა ჩამოვაყალიბოთ მართვის დასავლური სისტემა და ჭეშმარიტად სამართლებრივი სახელმწიფო

### საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის სიტყვით გამოსვლა ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში 2014 წლის 14 ნოემბერს



მივესალმები საქართველოს პარლამენტს და პატივისცემას გამოვხატავ თქვენს მიმართ. მე პატივს ვცემ თქვენს მოსაზრებებს, პოლიტიკურ შეხედულებებს, რადგანაც თქვენ ხართ ჩემი სამშობლოს მოქალაქეთა განხორციელებული დემოკრატიული ნება.

ამასთან, მე არ მოვსულვარ პარლამენტში ერთ რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან სასაუბროდ, არამედ მთლიანად საქართველოს უზენაეს საკანონმდებლო ორგანოსთან მინდა საკითხები განვიხილო. მე მოვედი საქართველოს მთელი მოსახლეობის მანდატით, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის სახელით, რომ ქართველი ხალხის წარმომადგენლებს გაგიზიაროთ ჩემი ხედვა ბოლო დროს განვითარებულ პროცესებზე.

კონსტიტუციურად, პარლამენტის, როგორც ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განმსაზღვრელი ორგანოს ფუნქცია გადამწყვეტია: თქვენ არა მხოლოდ განსაზღვრავთ ქვეყნის განვითარების ძირითად მიმართულებებს, არამედ აკონტროლებთ აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობას; პრემიერ-მინისტრი ყოველწლიურად წარმოგიდგენთ ანგარიშს სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, თქვენ კი აფასებთ მთავრობის საქმიანობას და აკეთებთ სათანადო დასკვნებს.

საპარლამენტო კონტროლის გაძლიერების მნიშვნელობა ხაზგასმულია ევროკავშირის შეფასებითი მისიის ანგარიშებშიც.

სწორედ ამიტომ, ერთი თვის წინათ, როდესაც, ჩვენს წინაშე დადგა აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის ანექსიის საშიშროება, მე მოგმართეთ თქვენ ამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე პოზიციის ჩამოსაყალიბებლად.

და ახლაც, როდესაც პოლიტიკური ვითარება დაიძაბა როგორც პარლამენტში, ასევე მთავრობაში და კრიზისულმა მოვლენებმა მმართველ კოალიციაში გამოიწვია სამი მინისტრის გათავისუფლება-გადადგომა და პოლიტიკურ ძალთა ახალი კონფიგურაციის შექმნა საქართველოს პარლამენტში, მე ბუნებრივად მოგმართეთ თქვენ – ჩვენი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს:

იმ ფაქტმა, რომ სამივე, აწ უკვე ყოფილ მინისტრს საკვანძო მიმართულებები ებარა ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კუთხით, გამოიწვია კითხვები შინ თუ გარეთ იმის თაობაზე, თუ რამდენად ეფექტიანად გაგრძელდება საქართველოს ევროპული ტიპის სახელმწიფოდ –ევროპის ნაწილად ჩამოყალიბება. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ დღეს ისე, როგორც არასდროს, 2012 წელს ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, აუცილებელია ამ კურსის კონსოლიდაცია, მისთვის ახალი იმპულსების მინიჭება და მისი შეუქცევადობის დადასტურება. სწორედ ამასთან დაკავშირებით მსურს მივაპყრო პარლამენტისა და საზოგადოების ყურადღება შემდეგ გარემოებებს:

პირველყოვლისა – პოლიტიკურ პროცესთა მიზეზი უფრო ღრმაა, ვიდრე ერთი პოლიტიკური ჯგუფის „თავისუფალი დემოკრატების“ შეუთავსებლობა მმართველი კოალიციის დღის წესრიგთან. ამ პოლიტიკური პროცესების მიზეზი არის ის, რაც მე არაერთხელ მითქვამს ბოლო ერთი წლის მანძილზე და მდგომარეობს ჩვენს სახელმწიფოში ინსტიტუციური მართვის ნაკლებობაში. ბოლო ერთი წლის მანძილზე, მე არაერთხელ აღმინიშნავს, რომ ინსტიტუტების უპატივცემულობა, დაბალანსებისა და ძალთა გადანაწილების პრინციპების უგულებელყოფა სახელმწიფო სისტემას შეუქმნიდა სირთულეებს. ასეც მოხდა – ბოლო დღეებში გაურკვეველი იყო ვის ემსახურებიან ინსტიტუტები - საკუთარ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, თუ სახელმწიფოს, რამდენად დაცულია სახელმწიფო საიდუმლოების, გამოძიების მიუკერძოებლობის ან უწყებათა დეპოლიტიზების პრინციპები.

იხ. 2 გვ.



## თავი აარიდეთ პროვოკაციებსა და ურთიერთდაპირისპირებას, ქვეყნის გამთლიანება ქვეყნის შიგნიდან უნდა დაიწყოს

საქართველოს საპატრიარქოს ინფორმაციით, 15 ნოემბერს დაგეგმილი არც ერთი ღონისძიება, არც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და არც ზოგადად საქართველოს ეკლესიის ინიციატივით არ იმართება. ამის შესახებ საქართველოს საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„როგორც ცნობილია, ა.წ. 15 ნოემბერს თბილისში იმართება აქციაც და კონტრაქციაც. გარკვეულწილად ორივე მხარე ცდილობს, ეკლესია ჩართონ ამ პროცესებში. იმ აზრსაც ავრცელებენ, თითქოს კონტრაქცია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევით ტარდება.

ამიტომაც, საზოგადოებას გვინდა განვუმარტოთ, რომ 15 ნოემბერს დაგეგმილი არც ერთი ღონისძიება, არც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის და არც ზოგადად საქართველოს ეკლესიის ინიციატივით არ ხორციელდება. ეს არის ამ თავყრილობების ორგანიზატორთა თავისუფალი ნების გამოხატულება.

ჩვენ, ჩვენი მხრივ მოვუწოდებთ ორივე მხარეს, თავი აარიდონ პროვოკაციებსა და ურთიერთდაპირისპირებას. ქვეყნის გამთლიანება ქვეყნის შიგნიდან უნდა დაიწყოს, – ეს ელემენტარული ჭეშმარიტებაა.

საქართველოს ეკლესია დღესაც და ყოველთვისაც ლოცულობდა და ქმედით ნაბიჯებს დგამდა საქართველოს საზღვრების აღდგენისა და ჩვენი ხალხის ერთობისათვის.

ჩვენ კვლავაც შევთხოვთ ღმერთს, რათა უფალმან ძალი ერსა თვისსა მოსცეს, უფალმან აკურთხოს ერი თვისი მშვიდობითა და კეთილდღეობით“.

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..**

№233. შაბათი, 15 ნოემბერი, 2014 წელი.

# ჩვენი პლურალიზმით უნდა ჩამოვაყალიბოთ მართვის დასავლური სისტემა და ჭეშმარიტად სამართლებრივი სახელმწიფო

(პირველი გვერდიდან)

შესაბამისად, ჩემთვის ეს კონკრეტული შემთხვევა არის ზოგადი, უფრო ფართო პრობლემის სიმპტომი; სიმპტომი, რომელმაც უნდა გვიბიძგოს სისტემის დახვეწისა და მომავალში ასეთი პრობლემის თავიდან აცილებისკენ. ერთი რამ ნათელია – ვერ მოახერხებ ორი ბატონის მსახურებას – ვერ მოახერხებ ერთდროულად ევროპული მიზნების დეკლარირებას და ამავე დროს სახელმწიფოს შენებას რაიმე სხვა ყაიდაზე. ამას თუნდაც ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორია გვასწავლის – გავიხსენოთ: სააკაშვილი ყველაზე ხმამაღლა საუბრობდა „დასავლურობაზე", მაგრამ მოინდომა რა დასავლურისგან შორს მდგარი, არადემოკრატიული სახელმწიფოს შენება, კრახი განიცადა.

ახალი ხელისუფლების დემოკრატიული სტანდარტი ბევრად აღემატება ძველს, თუმცა დასავლური ყაიდის ინსტიტუციონალური მმართველობა ჩვენს წინაშე მდგარი რეალური გამოწვევაა და ჩვენ ამას თვალი უნდა გავუსწოროთ, უნდა გავუსწოროთ თვალი იმას, რომ ევროპულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას ჩვენი ყველას პრინციპული ძალისხმევა სჭირდება.

იმისთვის რომ შევიდეთ ევროპაში, უნდა გავხდეთ ევროპა ჩვენი ცხოვრების წესით, ჩვენი დემოკრატიულობით, ჩვენი პლურალიზმით. უნდა ჩამოვაყალიბოთ მართვის დასავლური სისტემა და ჭეშმარიტად სამართლებრივი სახელმწიფო; სახელმწიფო, სადაც სამართლის უზენაესობა არის ხელშეუვალი პრინციპი. სამართლებრივ სახელმწიფოში ყველა თანაბრად უნდა ემორჩილებოდეს კანონს – როგორც ინდივიდი, ისე ხელისუფლების ინსტიტუტები. საჭიროა ხელისუფლების განშტოებათა გამიჯვნა-განცალკევების, ურთიერთკონტროლისა და ურთიერთგაწონასწორების გამართულად მოქმედი სისტემის ამუშავება. არ უნდა დავუშვათ სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის ურთიერთქმედების ჩანაცვლება ხელმძღვანელთა შორის პერსონიფიცირებული ურთიერთობებით; გადაწყვეტილებების მიღების პროცესი უნდა მოვაქციოთ ფორმალურ ჩარჩოში, რისთვისაც არსებობს კონსტიტუციით გათვალისწინებული ფორმატები. ნათელია, რომ დემოკრატიზაცია და ინსტიტუციონალიზაცია ჩვენი ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საფუძველთა საფუძველია.

მოქალაქეებს უნდა განვუმტკიცოთ ის განცდა, რომელიც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში აღიქვათ – ეს მათი ქვეყანაა! ეს სახელმწიფო მათი სახელმწიფოა! და სახელმწიფო ინსტიტუტები მათი კეთილდღეობისა და უსაფრთხოებისთვის არსებობენ და მუშაობენ.

და თუ ესაა ჩვენი თვალთახედვა, მაშინ ხელი უნდა შევუწყოთ სამოქალაქო საზოგადოების მეტ ჩართულობას პოლიტიკური გადაწყვეტილებების გააზრება-მომზადების პროცესში და სამოქალაქო ინსტიტუტების მონიტორინგს მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე. ჩვენ – ხელისუფლება ყველა დონეზე ყოველდღიურად უნდა ვგრძნობდეთ კონტროლს სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან, უნდა ვიყოთ მაქსიმალურად ღია და გამჭვირვალე. საჯარო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩაბმულობა ასოცირების ხელშეკრულების ერთ-ერთი ვალდებულებაცაა და ჩვენ მისი განხორციელება უნდა უზრუნველვყოთ.

აქვე, აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენ მივაღწიეთ წარმატებებს: ხელი მოვაწერეთ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას და მივიღეთ არსებითი პაკეტი ნატოს სამიტზე. ამასობაში, ასოცირების ხელშეკრულება, ისევე როგორც ნატოს უელსის სამიტის გადაწყვეტილებები ძალიან კონკრეტულ დღის წესრიგს განსაზღვრავს ჩვენთვის და ქვეყნის მთავარი გამოწვევაც ამ ამოცანების განხორციელებაშია, რაშიც არა მხოლოდ ცალკეული უწყებები, არამედ ყველა აქტიურად უნდა ჩავერთოთ.

შესაბამისად, უპირველეს ყოვლისა, მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო ასოცირების ხელშეკრულების მე-4 მუხლით განსაზღვრულ იმ ვალდებულებაზე, რომელიც შიდა სახელმწიფოებრივ რეფორმებს გულისხმობს. უპირველეს ყოვლისა, ეს გახლავთ: „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და სამართლის უზენაესობის განმტკიცება, განვითარება და გაზრდა; ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა პატივისცემის ხელშეწყობა; სასამართლო და სამართლებრივი რეფორმის პროგრესი და სასამართლოს სრული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, სასამართლოს ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერება, სამართალდამცავ ორგანოთა მიუკერძოებლობა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა; საჯარო მმართველობის რეფორმა. ანგარიშვალდებული, ეფექტიანი, ქმედითი, გამჭვირვალე და პროფესიონალური საჯარო სამსახურის შექმნა; ეფექტიანი ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ." – ამ ვალდებულებების განხორციელება არამხოლოდ ჩვენი დასავლური ინტეგრაციის საწინდარია, არამედ ევროპული საქართველოს საფუძველია. მის განხორციელებაში, ბუნებრივია, საქართველოს პარლამენტს განსაკუთრებული როლი ენიჭება.

წინა ხელისუფლების დროს საპოლიციო და უშიშროების სამსახურების შერწყმით, შინაგან საქმეთა სამინისტროში უშიშროების სტრუქტურების ინკორპორირებით, შეიქმნა უპრეცედენტო ძალაუფლების მქონე სტრუქტურა, რომელიც, ფაქტობრივად, დემოკრატიულ კონტროლს არ ექვემდებარებოდა და გადაიქცა ადამიანის უფლებების მასშტაბური დარღვევის მანქანად. ამიტომ, შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემიდან სახელმწიფო უშიშროების სამსახურების გამოყოფა, ქმედითი კონტროლის განხორციელება მათ საქმიანობაზე გადაუდებელი აუცილებლობაა და ამ თვალსაზრისით პარლამენტის როლი განსაკუთრებულია. აღსანიშნავია, რომ, ეს ყველაფერი არის მმართველი კოალიციის პროგრამაში და საარჩევნო დაპირება შესასრულებელია.

ამასთან, განსაკუთრებით უნდა შევჩერდე პროკურატურის რეფორმირების საკითხზე. იმისთვის, რათა ერთხელ და სამუდამოდ მოიხსნას კითხვები პროკურატურის პოლიტიზაციასთან დაკავშირებით, განმსაზღვრელია მისი ინსტიტუციონალური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. ამისათვის აუცილებელია გაბედული ნაბიჯების გადადგმა და მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება.

აქვე, განსაკუთრებით აღვნიშნავდი სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის მნიშვნელობას. ბოლო დროს ჩვენ ერთად გადავდგით ნაბიჯები ამ მიმართულებით. იუსტიციის სამინისტროს მიერ ინიციირებული რეფორმებით, და ასევე, თუნდაც, უზენაეს სასამართლოში მიუკერძოებელი და კვალიფიციური მოსამართლეების განმწესებით, რისთვისაც მინდა, მადლობა მოგახსენოთ.

ასოცირების ხელშეკრულებითვეა გათვალისწინებული საჯარო სამსახურის რეფორმის საკითხი. ინსტიტუციონალიზაციის განმტკიცების გზაზე პროფესიული საჯარო მოხელის საქმიანობას მყარი საფუძველი უნდა დაედოს; კადრების სტაბილურობა არის პროფესიული საჯარო მოხელის ინსტიტუტის ქვაკუთხედი. ხელისუფლების თუ ხელმძღვანელის შეცვლა არ უნდა იწვევდეს საჯარო სამსახურიდან კადრების მასობრივ დათხოვნას. საჯარო სამსახურის სწორი კონცეფცია სახელმწიფოებრივი მოწყობის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, მისი განხორციელება მყარ საფუძველს შეუქმნის დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ინსტიტუციურ ინფრასტრუქტურას.

ევროპულ სივრცესთან ჩვენი ქვეყნის ინტეგრაციის კუთხით ასევე მნიშვნელოვანი და აუცილებელია თვითმმართველობის რეფორმის დაუყოვნებლივ ბოლომდე მიყვანა. თვითმმართველი ერთეულებისათვის რეალური ფინანსური და ადმინისტრაციული ბერკეტების გადაცემითაა შესაძლებელი საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა. საჭიროა რომ თვითმმართველობის ორგანობში და მათ საქმიანობაში იმ ორგანოებისა და თანამდებობის პირთა მხრიდან ჩაურევლობის უზრუნველყოფა, ვისაც ამის კანონიერი უფლება არ გააჩნია.

ამასთან, მნიშნელოვანია როგორც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (DCFTA-ის), ისე ზოგადად, ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა პრიორიტეტული მიმართულების გეგმაზომიერი განხორციელება. მნიშვნელოვანია, რომ რეფორმების დღის წესრიგი უფრო ნათელი იყოს. ამასთან, დამეთანხმებით სასურველია, რომ DCFTA-ის განხორციელებისათვის ყოველწლიურად დაგეგმილი ქმედებების განსაზღვრა წინ უსწრებდეს იმ პროცესს, რომელსაც თქვენ ახლა ახორციელებთ, ანუ საბიუჯეტო პროცესს.

ფაქტიურად ყველა ამ გამოწვევაზე განსაკუთრებული სიტყვა უნდა თქვას პარლამენტმა. სწორედ ესაა ჩემი თქვენდამი მიმართვის მთავარი მიზანი. პარლამენტს ხელთ აქვს მრავალი მექანიზმი, რომელთა გამოყენებითაც მას შეუძლია ერთის მხრივ გახდეს ევროინტეგრაციის რეფორმათა ფლაგმანი, ხოლო მეორეს მხრივ მთავრობაზე ეფექტიანი კონტროლის სისტემის განხორციელებით მოახდინოს ევროპული და ევროატლანტიკური კურსის სტაბილურობის გარანტირება. ჩვენ უნდა შევძლოთ და შევქმნათ ისეთი ვითარება, როდესაც ჩვენ და მთელი საზოგადოება მყისიერად არ აღმოვაჩენთ იმ რეალობის წინაშე, როდესაც ჩვენივე მთავრობის მინისტრი, რომლის მიერაც წარმოებულმა რეფორმებმაც ახალი იმპულსი მისცა სოფლის მეურნეობის განვითარებას, ეჭვმიტანილია კორუფციაში, რაც, სხვათაშორის, შემდგომ არ მტკიცდება, ხოლო მეორე – ნატოს მხრიდან სწორედაც, რომ გამჭვირვალე სისტემის შექმნისთვის აღიარებული მინისტრის უწყებაში მაღალი თანამდებობის პირები ბრალდებული არიან მყისიერად კორუფციაში – დანაშაულებში. ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი მთავრობის სტაბილურობა ეფექტური კონტროლით, ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი პოლიტიკოსები დისკრედიტაციისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ შეშინებულ, უინიციატივო და არაეფექტიან სახელმწიფო სისტემას. ხოლო ამ დაცვის რეალური საშუალება ეფექტიანი საპარლამენტო კონტროლშია, როდესაც პარლამენტს და ესე იგი საზოგადოებას აქვს მაქსიმალური ინფორმაცია.

იგივე კონტექსტში და განსაკუთრებით ბოლოდროინდელ მოვლენებთან მიმართებაში უმნიშვნელოვანესია საქართველოს პარლამენტში მუშაობდეს ნდობის ჯგუფი. სწორედ ნდობის ჯგუფის ბერკეტის ეფექტიანი ამუშავება უზრუნველყოფს უფრო მეტ გამჭვირვალობას, რაც ასე მნიშვნელოვანია სახელმწიფო ინსტიტუტების დემოკრატიულ ფორმატში ასამოქმედებლად.

ასევე, საქართველოს პარლამენტის ინსტიტუციური როლის გაძლიერებისათვის უნდა დავასრულოთ კანონების ცალკეული ნორმების ამოქმედების გადავადების პრაქტიკა. ამის მაგალითებია ფარულ მიყურადებასთან, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქმეთა განხილვასთან, მოწმეთა დაკითხვის წესთან, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ვადების გადავადება. ბუნებრივია, პარლამენტს უფლება აქვს, სხვადასხვა გარემოებების გათვალისწინებით შეაჩეროს ან გადაავადოს ნორმატიული აქტის მოქმედება, მაგრამ ეს არ უნდა იღებდეს პერმანენტულ ხასიათს. კანონის მოქმედებისადმი ასეთი დამოკიდებულება უარყოფითად აისახება კანონის ავტორიტეტზე და ხელს უწყობს მოქალაქეთა მხრიდან მის მიმართ ნიჰილისტურ დამოკიდებულებას. ამგვარი მიდგომით ეჭვის ქვეშ დგება არა მარტო უფლების რეალიზაცია, არამედ თვით ამ უფლების არსებობაც.

აქვე მინდა, გითხრათ მადლობა ვეტოს მხარდაჭერისთვის. პარალელურად, აღვნიშნავ იმასაც, რომ სხვათა შორის პერსონალურ მონაცემთა მაღალ დონეზე დაცვა ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებაა.

საქართველოს შეიარაღებულ ძალებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში. ჩვენი სამხედროები გლობალური უსაფრთხოების და სტაბილურობის განმტკიცებაში თავისი სიცოცხლის რისკის ფასად, უაღრესად საპასუხისმგებლო როლს ასრულებენ, როგორც ნატოს, ისე ევროკავშირის ეგიდით წარმოებულ საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში. მათი კონტრიბუცია აღიარებულია პარტნიორი ქვეყნების მიერ და მათ დაიმსახურეს უმაღლესი შეფასება როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური ხელმძღვანელობის მხრიდან. საქართველო მზადაა მომავალშიც შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი გლობალური უშიშროების განმტკიცებაში და უშიშროების საბჭოზე მიღებულია გადაწყვეტილება 2015 წლიდან ავღანეთში, სამშვიდობო მისიაში ქართველი სამხედროების მონაწილეობა განისაზღვრება 750 ჯარისკაცით.

როგორც აღვნიშნეთ, ნატოს უელსის სამიტზე მიღებული ღონისძიებათა არსებითი პაკეტი მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ჩვენი ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე. უეჭველია, ყველა ვთანხმდებით, რომ უელსში მიღწეული გადაწყვეტილებების იმპლემენტაცია დასაჩქარებელია. და ეს პროცესი ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობის რეჟიმში უნდა გაგრძელდეს: არაღიარების პოლიტიკის მდგრადობასთან ერთად, მკაფიოდ უნდა დაფიქსირდეს ოკუპირებული ტერიტორიების ანექსიისკენ მიმართული ნაბიჯების აქტიური და ერთმნიშვნელოვანი მიუღებლობა, ჩვენი კანონიერი უფლებების მხარდაჭერა, ჩვენს უშიშროებაზე რეალური და ქმედითი ზრუნვა.

კიდევ ერთხელ, მადლობა მინდა, გადაგიხადოთ იმისთვის, რომ გაითვალისწინეთ ჩემი ხედვა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს შემადგენლობის გაფართოების თაობაზე – ამიერიდან პარლამენტი უშუალოდაა ჩართული ამ კონსტიტუციური ორგანოს საქმიანობაში; საბჭო ინსტიტუციურად უზრუნველყოფს პრეზიდენტის სამუშაო ურთიერთობას როგორც მთავრობასთან, ისე პარლამენტთან. უმაღლესი დონის გადაწყვეტილების მისაღებად, მნიშვნელოვანია პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევა კონსტიტუციის სულისკვეთებიდან გამომდინარე. ამიტომ მნიშვნელოვნად მიმაჩნია ეროვნული უშიშროების საბჭოს ფორმატში სხვა საკითხებთან ერთად რეგულარულად მოხდეს ნატოსთან თანამშრომლობის არსებითი პაკეტის იმპლემენტაციის პროცესის განხილვა, რადგანაც პაკეტის წარმატებით განხორციელება გაზრდის ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას, თავსებადობას ნატოსთან და დააჩქარებს ნატოში ქვეყნის გაწევრიანების პროცესს.

ერთი თვის წინათ, ჩემი მიმართვის შემდეგ, საქართველოს პარლამენტმა რუსეთ-აფხაზეთის ხელშეკრულების პროექტი „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ", რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის ანექსიის მცდელობად შეაფასა. მე, როგორც ქვეყნის პრეზიდენტმა, ამ განცხადებაზე დაყრდნობით მოვიწვიე უშიშროების საბჭოს სხდომა, სადაც შევთანხმდით, რომ კოორდინირებულად ვიმუშავებთ ამ გამოწვევის საპასუხო სტრატეგიაზე.

პარალელურად მე ასევე გავააქტიურე ძალისხმევა საერთაშორისო არენაზე - ერთის მხრივ არაღიარების პოლიტიკის მდგრადობისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის მხარდასაჭერად, მეორეს მხრივ ანექსიის მცდელობის შესაბამისი შეფასების კუთხით. უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული ვიზიტები იაპონიაში, ყირგიზეთსა და ავსტრიაში, შეხვედრები გაეროსა და ეუთოს გენერალურ მდივნებთან ემსახურებოდა სწორედ ჩვენი ქვეყნის ყველაზე მტკივნეული თემას – ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემატიკაზე ყურადღების გამახვილებას. მინდა გითხრათ, რომ ყველა ფორმატში ჩვენ მივიღეთ ძალიან მტკიცე მხარდაჭერა, რაც გამოიხატა როგორც იაპონიასთან ხელმოწერილ ერთობლივ განცხადებაში, ისე საერთაშორისო ფორუმების დღის წესრიგში საქართველოს თემის გააქტიურებაში. დღეს, ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ყველა საერთაშორისო ტრიბუნა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ საქართველოს პრობლემატიკა ინტესიურად განიხილებოდეს საერთაშორისო დღის წესრიგში. საერთო ძალისხმევითა და ფართო საერთაშორისო ჩართულობით უნდა შევძლოთ რუსეთის „პრივილეგირებული ინტერესების სფეროების" კონფრონტაციული პარადიგმის ცვლილება.

აქვე მინდა, ავღნიშნო: მიმაჩნია, რომ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ანექსიის საფრთხის წინაშე უნდა ვიყოთ ერთიანები ყველა, როგორც პოლიტიკოსები, ასევე მთლიანად საზოგადოება. ანექსიის საფრთხემ კი არ უნდა დაგვყოს, არამედ უნდა გაგვაერთიანოს. რამდენადაც ერთადერთი გამოსავალი და პასუხი რუსეთის ამ ქმედებებზე არის ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაცია და ქვეყნის ევროპეიზაცია. ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ ჩვენი სამშობლოს დემოკრატიზაციის, უშიშროების და სტაბილურობის მისაღწევად. ასევე მჯერა, რომ ევროპული და დემოკრატიული ქვეყანა იქნება მიმზიდველი ჩვენი აფხაზი და ოსი მოქალაქეებისთვის.

ამიტომ, დღეს მე მოვედი თქვენთან, რათა ქვეყნის ევროპეიზაციისთვის ამ გადამწყვეტ დროს ვიყოთ ერთიანი და შესაბამისი რეფორმების დროული განხორციელების მეშვეობით დავაჩქაროთ ხალხის მიერ ჩვენთვის განსაზღვრული ამოცანის – ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის შესრულება.

**ყოველგვარ უბედურებასთან და უკეთურობასთან ერთად, გუშინ პარლამენტის უმცირესობას, ანუ ნაციონალთა ავად სახსენებელ ნარჩენებს, იმის კულტურაც არ ეყოთ, რომ მანამ მაინც მსხდარიყვნენ თავიანთ ადგილებზე და სკანდალურად არ დაეტოვებინათ პარლამენტის სხდომათა დარბაზი, სანამ პარლამენტში სტუმრად იმყოფებოდა ქვეყნის პრეზიდენტი, რომელმაც თავისი უთუოდ საყურადღებო გამოსვლით ერთხელ კიდევ დაადასტურა რომ ქვეყნის ევროატლანტიკური კურსი უცვლელია და ყველა ჩვენგანს, მიუხედავად პარტიული კუთვნილებისა, ქვეყნის კეთილდღეობისთვის ზრუნვა და მჭიდრო ერთიანობა გვმართებს.**

**ნაციონალებმა, უფრო სწორად, ნაციონალების საპარლამენტო ნარჩენებმა, თავიანთი გუშინდელი უზნეო საქციელით ერთხელ კიდევ ნათელყვეს, რომ არავითარი აზრი არა აქვს მგლის თავზე სახარების კითხვას.**

**იმედია, ქვეყნის პრეზიდენტი ცალკე მკაცრ შეფასებას მისცემს ამ ეგრეთ წოდებულ პარლამენტართა აშკარა საბოტაჟს.**

№233. შაბათი, 15 ნოემბერი, 2014 წელი.

**რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივებზე, რუსეთში არსებულ ვითარებასა და უახლოეს მომავალში რუსეთში მოვლენათა განვითარების სავარაუდო სცენარებზე, „ინტერპრესნიუსი“ რუს სამხედრო ექსპერტსა და ცნობილ პოლიტიკურ მიმომხილველს პაველ ფელგენგაუერს ესაუბრა.**

**— ბატონო პაველ, უკრაინის ელჩმა გაეროში იური სერგეევმა გაეროს უშიშროების საბჭოზე განაცხადა — „ფაქტები მეტყველებენ, რომ რუსეთი უკრაინაში ფართომასშტაბიანი ოპერაციის დაწყებას გეგმავს.“ თქვენი შეფასებით, რამდენად დიდია ალბათობა, რომ რუსეთმა უკრაინაში ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია დაიწყოს?**

— ამ მომენტისთვის ეს პრაქტიკულად შეუძლებელია. ფართომასშტაბიანი ოპერაციის დაწყება ნიშნავს არა მარტო დონბასში საომარი მოქმედებების წარმოებას, არამედ უკრაინის სხვა ოლქებში რუსული ჯარების მიერ მოქმედებების დაწყებას. ეს შეუძლებელია, თუნდაც იმის გამო, რომ ამგვარი ოპერაციის დასაწყებად ზამთარი საუკეთესო დრო ნამდვილად არ არის. ამიტომ რუსეთის მხრიდან უკრაინაში ფართომასშტაბიანი ოპერაციის დაწყებას გამოვრიცხავ. ვფიქრობ, რომ უკრაინის ელჩი საფრთხეს აშკარად აბუქებს. თეორიულად არ არის გამორიცხული, რომ ამგვარი რამ ახალი წლის შემდეგ, უფრო ზუსტად 2015 წლის გაზაფხულზე მოხდეს.

ეს არ გამორიცხავს დონბასში ვითარების გამწვავებას. ე.წ. ოპოლჩენცები ცდილობენ ვითარების გამწვავებას და პროვოცირებას იმ იმედით, რომ რუსეთი სამხედრო ძალებით დაეხმარება. ამ პროცესებში რუსეთის სამხედრო ძალების მონაწილეობა შესაძლებელია, ვინაიდან მოსკოვის ამოცანაა არ დაუშვას დონბასში ოპოლჩენცების სამხედრო განადგურება.

**— თქვენი აზრით, რა როლი შეასრულა უკრაინის კონფლიქტში დასავლეთის მიერ რუსეთისათვის სანქციების დაწესებამ?**

— სანქციებმა მნიშვნელოვნად დააზარალა რუსეთი ეკონომიკურად და ფინანსურად. რუსეთში ეცემა მოსახლეობის ცხოვრების დონე, ფაქტობრივად, სტაგნაციის მდგომარეობაშია ეკონომიკური ზრდა. მეტიც, ახლა ყველა ეკონომიკაში სერიოზულ რეცესიაზე საუბრობს. ყველაფერი ეს მაღალი ინფლაციის პირობებში ხდება. გარდა ამისა, აშკარაა დოლარის ნაკლებობა. დოლარი ქვეყანაში კრედიტების სახით დიდ კორპორაციებს შემოჰქონდათ. ახლა რუსულ ბანკებზე, თუ რამდენიმეს არ ჩავთვლით, კრედიტების გაცემა პრაქტიკულად შეჩერებულია.

რუსეთში ფინანსური პრობლემები უკვე სახეზეა. მალე ვიგრძნობთ ტექნოლოგიურ პრობლემებსაც. მოგეხსენებათ, ამერიკამ და ევროპის რიგმა ქვეყნებმა უარი თქვეს რუსეთში მაღალტექნოლოგიური საქონლის, ძირითადად სამხედრო და ორმაგი დანიშნულების საქონლის შემოტანაზე. რუსეთი ამერიკაში ამ ტიპის 2-2,5 მილიარდი დოლარის ღირებულების საქონელს იძენდა. სანქციებს რუსეთის ეკონომიკა ჯერ სიკვდილამდე არ მიუყვანია, მაგრამ ქვეყანა სანქციებს სრულად მას შემდეგ იგრძნობს, როცა გარკვეული სახის საქონლის მარაგები ამოიწურება. რეალურად, სანქციები ახალი ამოქმედებულია და მათ არსებობას რუსეთი სულ უფრო მეტად იგრძნობს.

რუსეთში ეკონომიკური მდგომარეობა მძიმდება.

**— ევროკავშირმა გააფრთხილა კრემლი — თუ დონეცკისა და ლუგანსკის ე.წ. არჩევნებს აღიარებდა, სანქციები კიდევ უფრო გამკაცრდებოდა. კრემლი არჩევნების შედეგებს მიესალმა, მაგრამ არ უღიარებია და არც დასავლეთს შეუტანია კორექტივები რუსეთის მიმართ წარმოებულ სანქციურ პოლიტიკაში...**

— დიახ, ჯერ ახალ სანქციებზე საუბარი არ ყოფილა, მაგრამ, თუ დონბასში ძალადობის ესკალაცია კვლავ გაგრძელდა, ევროპაში შეიძლება გაჩნდეს პოლიტიკური ნება იმისა, რომ სანქციები გაამკაცრონ. თუ დონბასში ვითარება გაუარესდა და მასში მონაწილეობას კვლავინდებურად რუსეთის შენაერთები მიიღებენ, დამატებითი სანქციების დაწესებას ნამდვილად არ გამოვრიცხავ.

**— „რუსი პატრიოტები“ აცხადებენ — იმ სახით, რა სახითაც დღეს რუსეთის ფედერაცია არსებობს (მხედველობაში აქვთ საზღვრები), რუსეთს არასოდეს უარსებია. არ ზუსტდება, მათ თავად რა საზღვრებში უნდათ, იხილონ ქვეყანა. თქვენი აზრით, უკრაინაში დაწყებული კამპანიით რა საბოლოო მიზანს ისახავს პრეზიდენტი პუტინი უკრაინასა და პოსტსაბჭოთა სივრცეში? რუსეთში ევრაზიულ კავშირზე ბევრს კი საუბრობენ, მაგრამ თუ რაში მდგომარეობს ამ იდეის არსი, არ თუ ვერ ზუსტდება?**

— აშკარაა, რომ რუსეთის მიზანია, განისაზღვროს მისი გავლენის სფერო ყოფილი სსრკ-ის ფარგლებში. ანუ, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები იყვნენ მისი სტრატეგიული დასაყრდენი. რა სახელი და კავშირი ეწოდება მას, ახლა მთავარი ეს არ არის. უნდა ვიცოდეთ, რომ მოსკოვში რეალურად გრძელვადიანი დაგეგმარებით დაკავებულია გენერალური შტაბი. ასე იყო საბჭოთა პერიოდშიც. ახლა ყველანი დაკავებული არიან მიმდინარე ან პირადი პრობლემების გადაწყვეტით.

გენშტაბი, რომელიც გრძელვადიანი დაგეგმარებით არის დაკავებული, დარწმუნებულია, რომ 2025-2030 წლის შემდეგ დაიწყება მსოფლიო ომი და ისინი ამისთვის ემზადებიან. მათი გათვლებით იმ პერიოდისთვის დაიწყება ომი რესურსებისათვის. ამის შესახებ საუბრობდა შარშან გენშტაბის ხელმძღვანელი გერასიმოვი, სულ ახლახან — გაზეთ „როსიისკაია გაზეტაში“ უშიშროების საბჭოს მდივანი პატრუშევი. ამისთვის შენდება სამხედრო ბაზები არა მარტო არქტიკაზე.

ანუ, რუსეთი ემზადება იმ დროისათვის, როცა რესურსების გამო ყველა ომს დაუწყებს. ამ მზადების ფარგლებში ტრილიონობით ფული იხარჯება. რუსული გენშტაბის გათვლებით სამხედრო ბაზები უნდა იყოს განლაგებული ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიებზეც. ამ გეგმის განსახორციელებლად დაუშვებელია, ყოფილი სსრკ-ის რესპუბლიკები გადავიდნენ დასავლეთის მხარეს, შევიდნენ ევროკავშირსა და ნატოში, ვინაიდან ამ რესპუბლიკების ტერიტორია შეიძლება იყოს გამოყენებული რუსეთის წინააღმდეგ საომარო მოქმედებებისათვის. ამიტომაცაა, რომ კრემლს უკრაინისა და საქართველოს დასავლური კურსი არა მარტო აღიზიანებს, არამედ მიიჩნევს, რომ მისთვის ეს დაუშვებელია. რუსეთის დღევანდელი ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რაც მის შესაძლებლობებშია, რომ არ დაუშვას უკრაინისა და საქართველოს ევროპასთან დაახლოება.

რუსეთი მიიჩნევს, რომ ყოველთვის თავდაცვით ომებს აწარმოებდა. ამგვარი „თავდაცვითი ომების“ შედეგად მისი ტერიტორია პატარა მოსკოვის სამთავროსთან შედარებით 50-ჯერ გაიზარდა. ზუსტად არ ვიცი, რა ერქმევა ახალ კავშირს, მაგრამ კრემლის გეგმები, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში სწორედ ახალი კავშირის შექმნაა, ფაქტია.

**— ვითარებაში, როცა ენერგიის ახალი წყაროები უკვე შემუშავებულია და შესაძლოა, სწორედ მათ მალე ჩაანაცვლონ ნავთობი და გაზი, რა საჭირო იქნება რუსული გაზისა და ნავთობისათვის ომების გაჩაღება, გაუგებარია...**

— მე არ მითქვამს, რომ რესურსებისთვის ომების დაწყების იდეას ვეთანხმები. მოგახსენეთ იმაზე, თუ რა გეგმები აქვს რუსეთის გე-

# პუტინი ან გადემოკრატდება, ან მთლიანად დაიკარგება!!!



## რუსეთს საქართველოს რომელიმე ნაწილი კი არა, მთლიანად საქართველო სჭირდება

ნერალურ შტაბს. ფაქტია, რომ ეს გეგმები მიღებული აქვს ქვეყნის უმაღლეს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას. ანუ, დაგეგმილია 2020 წლისთვის შეიარაღებული ძალების სრული გადაიარაღება, ბაზების მშენებლობა ვრანგელის კუნძულსა და ფრანც იოსების მიწაზე. საუბარია არა მხოლოდ უკრაინაზე, არამედ სტრატეგიული პერიმეტრის შექმნაზე.

**— ისევ უკრაინის თემას მინდა დავუბრუნდეთ. თქვენი აზრით, მაქსიმუმ რაზე შეიძლება წავიდეს კრემლი უკრაინულ კამპანიაში?**

— რუსეთის მიზანია, არ დაუშვას ის, რომ უკრაინა გახდეს დასავლეთის ნაწილი ან დასავლეთისთვის მეგობრული ქვეყანა და მისი მოკავშირე. ამისათვის ის გამოიყენებს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ფინანსურ შესაძლებლობებს. იყო გეგმები, ჯერ კიდევ გაზაფხულზე რუსული ჯარები დაძრულიყვნენ კიევის მიმართულებით. ამ გეგმაზე პუტინმა უარი თქვა იმ იმედით, რომ უკრაინელები ან თავად პოროშენკო გადაიფიქრებდნენ, გამხდარიყვნენ დასავლეთის ნაწილი. ან დაეცვათ ბალანსი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. მოსკოვში იმედოვნებენ, რომ უკრაინა ეკონომიკური პრობლემების გამო თავად დაიშლება, პოროშენკოს მთავრობა დაემხობა და თავად ევროპელები მიხვდებიან, რომ ამგვარი უკრაინის დაცვას აზრი არ ექნება და მისცემენ რუსეთს უკრაინას.

**— ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა ყაზახ ხალხს 12 ნოემბერს მიმართა. მანამდე ამგვარ მიმართვას თურმე იანვარში ან თებერვალში აკეთებდა, მაგრამ წელს ნოემბერში მიმართა. მიმართვის ტექსტი მრავალმხრივ საინტერესოა. ასე მაგალითად — „უახლოესი წლები იქნება მსოფლიოსთვის გლობალური გამოცდის დრო, მათ შორის, ჩვენთვისაც, ვინაიდან ეს პერიოდი იქნება მსოფლიო არქიტექტურის ცვლილების დრო. ამ რთულ ეტაპს ღირსეულად ყველა სახელმწიფო ვერ გაივლის. ამ ზღვარს ღირსეულად გაივლიან მხოლოდ ძლიერი, გაერთიანებული ერები და ქვეყნები“. რას შეიძლება ნიშნავდეს ყაზახეთის პრეზიდენტის ეს მიმართვა? რჩება შთაბეჭდილება, რომ ყაზახეთის უცვლელმა პრეზიდენტმა და კრემლთან დაახლოებულმა ნაზარბაევმა რაღაც იცის და ბოლომდე არ აკონკრეტებს...**

— გლობალური ომი გარდაუვალია. შესაძლოა, ჩვენებმა ნაზარბაევს აუხსნეს, რომ მალე ყაზახეთს ყველა რესურსების გამო თავს დაესხმება. საერთოდ, შუა აზიაში პრობლემები მძიმდება. ეს რეგიონი პოტენციურად არის სერიოზული დესტაბილიზაციის წყარო. ეს მოსკოვში კარგად ესმით, უბრალოდ, ახლა რუსეთს არა აქვს იმდენი ძალა, რომ ყველაფერს ერთად გაუმკლავდეს. არქტიკაშიც და შორეულ აღმოსავლეთშიც საჭიროა მომზადება, იმავდროულად არ უნდა იქნას დავიწყებული ამიერკავკასია.

**— ცნობილმა რუსმა პოლიტოლოგმა ალექსანდრე კოხმა ფბ-ის თავის გვერდზე დაწერა — „ჩვენ წინ დიდი ომი გველოდება. ქვეყანა დიდი სისხლითაა ორსულად. ყველას უნდა სისხლი. როდესაც ყველას უნდა სისხლი, იგი აუცილებლად იქნება. მაქვს წინათგრძნობა, რომ ჩვენ დიდი უბედურება გველის. გაიდარის რეფორმები, ელცინის პერიოდის გაურკვევლობა-ბუნდოვანება, პუტინის“ მუხლებიდან წამოდგომა, ბავშვურ თამაშობებად მოგვეჩვენება... უკრაინის ელჩის მსგავსად, პოლიტოლოგი კოხიც აბუქებს?**

— კოხი არაა ერთადერთი ვინც დღეს რუსეთში ასე ფიქრობს. რუსეთში მართლაც რთულადაა საქმე. საქმე მარტო იმაში არაა, რომ სადღაც ვიღაც იომებს და რამდენჯერმე გაისვრის. დაწყებულია ახალი „ცივი ომი“ და გამოიყენება ძველი „ცივი ომის“ ტაქტიკა. მათ შორის ის, რასაც ბირთვული ომის ზღვარზე ბალანსირება ჰქვია. რუსეთი ამ ტაქტიკას უკვე კარგა ხანია, იყენებს.

ამგვარ შანტაჟსა და დაშინებას იყენებდა როგორც აშშ, ისე სსრკ და გარკვეულ საკითხებში მიზანს ორივე აღწევდა, მაგრამ ეს საკმაოდ სახიფათო გზაა. ამ მეთოდს ოსტატურად იყენებდა კისინჯერი 1973 წელს, როცა ამერიკამ ახლო აღმოსავლეთში ბირთვული იარაღი ჩაიტანა, ხოლო სსრკ-მა უარი თქვა ეგვიპტეში თავისი საჰაერო-სადესანტო ძალების დესანტირებაზე და შედეგად ეგვიპტე დაკარგა. ომის ზღვარზე ბალანსირების პოლიტიკა საკმაოდ სახიფათო რამაა. ჩემი აზრით, დღეისათვის ბირთვული ომის ალბათობა ნულის ტოლი სულაც არაა. ეს არ ნიშნავს, რომ იგი გარდაუვალია, მაგრამ ნულის ტოლი ნამდვილად არაა.

**— აი, კიდევ ერთი მოსაზრება, რომელიც ძალიან მენიშნა. იგი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს იური პონომარიოვს ეკუთვნის — „ან რუსეთი მოძებნის თავის თავში ძალას და გარდაიქმნება ევროპულ, დემოკრატიულ, სამართლებრივ, ქრისტიანულ და პატრიოტულ ქვეყნად, ან მთლად დაიკარგება და გადაიქცევა მესამე სამყაროს ქვეყნად. ჩვენ ძალიან სახიფათო გზაზე ვდგავართ.“ თქვენი აზრით, სავარაუდოდ, როგორ შეიძლება განვითარდეს პროცესები რუსეთში უახლოეს მომავალში?**

— უკრაინული კრიზისიდან ოპტიმალური გამოსავლის არანაირი გზა არ არსებობს. დონბასში გაგრძელდება საომარი მოქმედებები, მაგრამ რა ინტენსივობით, ამის თქმა დღეს ჭირს. კრემლის ხელმძღვანელობაში ამ საკითხზე, ანუ იმაზე, სავარაუდოდ, როგორ შეიძლება განვითარდეს პროცესები, სხვადასხვა შეხედულებები აქვთ. ერთი რამის თქმა კი შეიძლება — ეს საკმაოდ კარგა ხანს გაგრძელდება და შესაბამისად, პოტენციური რისკებიც დიდია. აკადემიკოს პონომორიოვის მოსაზრებას, რომელიც თქვენ მოიხმეთ, სრულად ვიზიარებ, მაგრამ არ ვიცი, თუ როგორი იქნება ამ პროცესების შედეგი.

რუსეთში არიან სხვადასხვაგვარი ადამიანები, რომლებსაც ქვეყნის მომავალზე სხვადასხვა მოსაზრებები აქვთ. სატელევიზიო პროპაგანდამ მოსახლეობა საკმაოდ დეზორიენტირებული გახადა. აზრთა სხვადასხვაობის გამო ელიტაც საკმაოდ გაყოფილია.

**— ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ელიტა მონოლითურად გამოიყურება...**

— ამაზე ისინი საუბრობენ, ვინც თავის დროზე საბჭოთა ხალხის ერთიანობაზე საუბრობდა. ჩემი აზრით, აზრთა სხვადასხვაობა არა მარტო ელიტაშია, არამედ საზოგადოებაშიც. ყველას ესმის, თუ რა საფრთხეების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს ქვეყანა და საზოგადოება, ამიტომ კრემლის დღევანდელი პოლიტიკა ბევრს, მათ შორის, არც მე არ მომწონს.

**— შესაძლოა, მაგრამ გადაწყვეტილებებს მაინც ერთი კაცი, პრეზიდენტი პუტინი იღებს...**

— დიახ, ასეა, ვინაიდან პუტინი დღეს მეფეა. ჩემი აზრით, იგი ცდილობს, კრემლში სხვადასხვა ძალები და მოსაზრებების მქონე ადამიანები დააბალანსოს. მიმდინარე წლის აპრილში ბევრს უნდოდა, რომ ჯარები შესულიყვნენ უკრაინის ტერიტორიაზე, მაგრამ პუტინს ასეთი ბრძანება არ გაუცია. აი, აგვისტოში კი, როცა დონეცკელი და ლუგანსკელი ოპოლჩენცები მარცხის წინაშე იდგნენ, პუტინმა ყველაფერი გააკეთა, რომ უკრაინულ არმიას ისინი არ დაემარცხებინა. პირველ რიგში, მხედველობაში მაქვს უკრაინელების მარცხი იალოვაისკთან, მაგრამ ამ ოპერაციებში მაინც რუსული შეზღუდული რაოდენობის ქვედანაყოფები მონაწილეობდნენ. ჩვენებს შეეძლოთ მარიუპოლის აღება, მაგრამ მათ მიიღეს ბრძანება წინ არ წასულიყვნენ.

რუსეთი არ დაუშვებს დონბასში ოპოლჩენცების დამარცხებას. უკრაინულმა არმიამ ისინი აგვისტოში დაამარცხა კი არა, გაანადგურა. რუსეთი სერიოზულად ჩაერია. რომ არა რუსული ჩარევა, კიევი დონეცკსა და ლუგანსკზე კონტროლს აღადგენდა. ჩვენ არ დავუშვებთ, რომ უკრაინა გახდეს ნატოსა და ევროკავშირის წევრი და დასავლეთზე ორიენტირებული ქვეყანა. ეს, რა თქმა უნდა, ეხება საქართველოსაც. თუმცა, ამისთვის რუსეთი სხვადასხვა მეთოდოლოგიასა და ხერხებს გამოიყენებს. მათ შორის, ეკონომიკურს, ფინანსურს, თუ საჭირო გახდა სამხედრო ძალასაც და ბირთვული იარაღის გამოყენების მუქარას.

**— საქართველოსთან მიმართებაში გააქტიურდა საუბრები კახეთის გავლით დაღესტნიდან სომხეთთან დამაკავშირებელი გზის მშენებლობისა და აფხაზეთის რკინიგზის შესაძლო ამოქმედებასთან დაკავშირებით. თქვენი აზრით, რას შეიძლება ნიშნავდეს კრემლის მხრიდან დროდადრო ამ თემების გააქტიურება?**

— ერთდროულად შანტაჟსა და დაშინებას. ან, ისეთი წინადადებების შეთავაზებას, რომელზეც უარის თქმა, ძალიან ძნელია. კრემლის ლოგიკა ასეთია — რუსეთის პერიმეტრი ყველგან დაცული უნდა იყოს, მათ შორის ამიერკავკასიაშიც. რუსეთს ამიერკავკასიაში სტრატეგიულ პარტნიორად მარტო სომხეთი არ სჭირდება. მას მთლიანად მთელ ამიერკავკასიაზე სჭირდება კონტროლის აღდგენა. რუსეთს საქართველოს რომელიმე ნაწილი კი არა, მთლიანად საქართველო სჭირდება. რუსეთის მიზანი ნათელია — ყოფილ პოსტსაბჭოთა სივრცეზე კონტროლის აღდგენა. და რადგან რუსეთისთვის საქართველოს სწრაფვა ევროპისკენ მიუღებელია, კრემლი მოძებნის საშუალებებს საქართველოს თავისკენ შემოსატრიალებლად.

**ესაუბრა**
**კობა ბენდელიანი**

ეჭვი

# აფიორა, რომლის გამოც ბიუჯეტი ვერ შესრულდა?!

**ბიუჯეტის შეუსრულებლობის გამო ჩვენი ქვეყნის მთავრობას ძალიან ბევრი აკრიტიკებს, ლამის დაუსრულებელი კამათი მიმდინარეობს იმის შესახებ, თუ რატომ ვერ შესრულდა 2014 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი. ამის თაობაზე განსხვავებული მოსაზრებები აქვთ საქართველოს პარლამენტში, კერძოდ, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტში.** როგორც ამ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე თემურ მაისურაძე აცხადებს, ბიუჯეტის შეუსრულებლობის მიზეზად, შესაძლოა, ჩაშლილი ტენდერები დასახელდეს. მაისურაძე არ გამორიცხავს, რომ ამ პროცესის უკან პოლიტიკური ინტერესიც იმალებოდეს. თემურ მაისურაძემ bpn.ge-სთან საუბრისას აღნიშნა, რომ კომიტეტმა უკვე გამოითხოვა ინფორმაცია ტენდერების ღირებულების შესახებ და პარლამენტში ამ საკითხს საფუძვლიანად შეისწავლიან.

**თემურ მაისურაძე:** მე ვისაუბრებ იმ ძირითად პრობლემებზე, რომლებიც ამ სფეროში გამოიკვეთა. არ შეიძლება არ გამოვყო ერთი უცნაური მოვლენა: ხშირად ერთი კომპანია რამდენიმე ტენდერში იღებდა მონაწილეობას, იმარჯვებდა და მერე ყველა ორგანიზაციაში ერთი და იმავე ტექნიკის ნუსხას წარადგენდა. ესე იგი, ერთი კომპანია იგებდა 3-4 ტენდერს, ყველას ეგონა, რომ იქ სამუშაოს შესასრულებლად საკმარისი ტექნიკა ჰქონდათ, მაგრამ ასე არ იყო: თავისი ტექნიკა ერთი ორგანიზაციიდან მეორეში გადაჰქონდათ, სამუშაოს ველარ ასწრებდნენ და ბოლოს გადავადებას ითხოვდნენ. რაც მთავარია, ამგვარი დარღვევების მიუხედავად, ეს კომპანიები „შავ სიაში“ არასოდეს ხვდებოდნენ. გარდა ამისა, ტენდერში გამარჯვებულები ხელოვნურად აგდებდნენ ფასებს და მერე, მუშაობის პროცესში პირობებს ცვლიდნენ.

**— რატომ ფიქრობთ, რომ ამ პროცესის მიღმა პოლიტიკური ინტერესები იმალება?**

— ჩვენ საფუძვლიანი ეჭვი გვქონდა, რომ შესაძლოა, აქ რაღაც პოლიტიკურ გარიგებას ჰქონდეს ადგილი. ჯერჯერობით პასუხი არ ჩანს შეკითხვებზე: რატომ უნდა სურდეს გამარჯვებულ კომპანიას ტენდერის პირობების დარღვევა? კომპანიამ მოიგო ტენდერი, მაგრამ არ არის დაინტერესებული, მოგება მიიღოს — სად არის აქ ლოგიკა? მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ სახელმწიფოს ასეთი დარღვეული ტენდერის გამო, სულ მცირე, ერთი წლით უფუჭდება საქმე, მაშინ უკვე ჩნდება ეჭვი, რომ ასეთი გარიგება არსებობს. გასული წლის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ბიუჯეტში ჩავარდნები სწორედ ასეთი შეუსრულებელი, ან ჩაშლილი ტენდერების გამო ჩნდებოდა. მსგავსი ფაქტები გახდა მიზეზი იმისა, რომ საკითხის სიღრმისეული შესწავლა დავიწყეთ და მსხვილი სახელმწიფო დამკვეთებისაგან გამოვითხოვეთ ინფორმაცია ჩატარებული ტენდერების შესახებ. 2011 წლიდან მოყოლებული დღემდე, ყველა ტენდერი უნდა შევისწავლოთ და ვნახოთ, რომელი კომპანიები ასრულებდნენ, ან არ ასრულებდნენ დაკისრებულ ვალდებულებებს, ვინ ითხოვდა გადავადებას, ან აცხადებდა თავის პირობებს და შუა მუშაობის დროს ცვლიდა — ეს ყველაფერი უნდა შევისწავლოთ და დავადგინოთ. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ამ სიტუაციაში გასაქანს არ აძლევენ სხვა კომპანიებს, რომლებიც პატიოსანი თამაშის წესებს იცავენ და კეთილსინდისიერად იქცევიან. სამწუხაროდ, უამრავი ტენდერი ჩატარდა, რომლის ვადებიც ამა თუ იმ მიზეზის გამო გადაიდო. როდესაც მე შემიძლია, ვადა გადავდო, მერე უკვე შემიძლია შესასრულებელი სამუშაოს თანხაც შევცვალო და ეს ინფლაციითა და ფასების ზრდით ავხსნა. თავდაპირველად ფასებს დაბლა აგდებდნენ და ტენდერებს ამ გზით იგებდნენ, მერე კი ვადებს ცვლიდნენ და ასე იქმნებოდა ნოყიერი ნიადაგი თაღლითობისთვის. შექმნილ სიტუაციაში იჩაგრება კომპანია, რომელიც პირდაპირ ამბობს, რომ ამ ტენდერის შესრულება ნაკლებ ფასში ვერ მოხერხდება. ეს ხომ უსამართლობაა? ამიტომ, თუ ეს საკითხი საფუძვლიანად არ შევისწავლეთ და სწორი საკანონმდებლო ინიციატივა არ წარმოვადგინეთ, მსგავსი პრობლემები არასოდეს დაგველევა.

**— როდესაც პოლიტიკურ ინტერესებზე საუბრობთ, ნაციონალურ მოძრაობას გულისხმობთ?**

— ჯერჯერობით გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ეს იყო ნაციონალური მოძრაობის დროს დაწერილი კანონი და ძველი თამაშის წესები დღემდე მოქმედებდა. ახლა უნდა დავფიქრდეთ, გვაძლევს ხელს ამგვარი წესები თუ — არა? ხომ უნდა დავფიქრდეთ, რატომ არის ტენდერების შესრულების მხრივ ასეთი დარღვევები, რას დავაბრალოთ ამდენი გადავადება, ან ამდენი შეუსრულებლობა? თუ ყველა პირობა შემიძლია შევცვალო, სად არის მაშინ პატიოსანი თამაშის წესები? ეს აფიორაა და მეტი არაფერი. სწორედ ამიტომ, ტენდერების ჩატარების სისტემაც უნდა შეიცვალოს და პირობებიც. თუნდაც იმიტომ, რომ ბიუჯეტის ჩავარდნა სწორედ ამ მიზეზით მოხდა - სახელმწიფომ თანხა ვერ დახარჯა მხოლოდ იმიტომ, რომ გამარჯვებული კომპანიები სატენდერო პირობებს არ ასრულებდნენ და არღვევდნენ. ასეთი პრობლემები იყო შარშან და იგივე განმეორდა წელსაც, რაც მერე ნაციონალურმა მოძრაობამ გამოიყენა, რომ ეთქვა: აი, ბიუჯეტი ვერ შესრულდა და ქვეყანა ინგრევაო! მართალია, კომპანია, რომელიც სატენდერო პირობებს ვერ ასრულებს, ჯარიმას იხდის, მაგრამ მე გადავიხდი რამდენიმე ასეულ ათასს, თუ მერე სერიოზულ პიარს ავაგორებ — საქვეყნოდ ვიტყვი, რომ ეს ხელისუფლება არ ვარგა. სწორედ ამიტომ ვფიქრობთ, რომ ამ პროცესის უკან პოლიტიკური ინტერესი იმალება და ჩვენს ეჭვს საფუძველი ნამდვილად აქვს.

> **„არ გამოვრიცხავ, რომ ამ პროცესის უკან ვიღაცის პოლიტიკური ინტერესი იმალებოდეს“**

**— ამ ეტაპზე თუ გაქვთ რაღაც კონკრეტული ფაქტები, ან მონაცემები?**

— კონკრეტულ ციფრებსა და ფაქტებზე ჯერ ვერაფერს გეტყვით, არ მინდა, რომელიმე კომპანიას შევეხო და უპასუხისმგებლო განცხადება გავაკეთო. ნუ ვიჩქარებთ, რადგან ჯერ ყველაფერი საფუძვლიანად უნდა შევისწავლოთ. მერე უკვე ზუსტად გეტყვით, რა გამოვლინდა, რომელი კომპანიები არღვევდნენ პირობებს, ან რატომ... ეს ინფორმაცია 8-10 დღეში უკვე ხელთ გვექნება. ამ საქმეში ჩავრთეთ სამინისტროები და ყველაზე დიდი ტენდერების დამკვეთები, ჩვენი მოთხოვნაა, მოგვაწოდონ ინფორმაცია იმ ტენდერებზე, რომელთა ღირებულებაც 1 მილიონ ლარს აჭარბებს. გვაინტერესებს ყველა მსხვილი ტენდერი, რომელიც 2011 წლიდან დღემდე ჩატარებულა. ეს მოგვცემს საშუალებას, დავინახოთ, რა ხდებოდა წინა ხელისუფლების დროს და რა ხდება ახლა. თუ აღმოჩნდება, რომ ესა თუ ის კომპანია მუდმივად იხდიდა ჯარიმას და თავის ვალდებულებებს ჯეროვნად არ ასრულებდა, ესე იგი, ჩვენი ეჭვები საფუძვლიანია: გამოდის, რომ ეს მიზანმიმართული პროცესი ყოფილა.

**ხათუნა ჩიგოგიძე**

პროექტი




# გაზრდილი და „დაპროგრამებული“

**დედაქალაქის 2015 წლის ბიუჯეტი დაახლოებით 800 მლნ ლარამდე გაიზრდება, ხოლო თბილისის მერიის 4 მთავარი პრიორიტეტი ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები, დედაქალაქის გამწვანება, საბავშვო ბაღების მშენებლობა და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა იქნება.**

ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროექტების დაფინანსება წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 8 მილიონით გაიზრდება. სოციალური პროექტები დაფინანსდება 168 542 800 ლარით, ხოლო ჯანდაცვის ღონისძიებები — 34 450 000 ლარით.

მათ შორის, 1,4 მილიონით დაფინანსდება ს ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისთვის საჭირო კვლევები.

4 მილიონით დაფინანსდება ლეიკემიითა და სხვა ონკოჰემატოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტების (0-დან 25 წლამდე) ოპერაციული მკურნალობის პროგრამა.

800 000 ლარით დაფინანსდება სოციალურად დაუცველი 18 წლამდე მკვეთრი და მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების პროგრამა, ხოლო 1 000 000 ლარით — სოციალურიად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარების პროგრამა.

2015 წელს მერია 1 მილიონს გამოყოფს სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი 500-ლარიანი დახმარების პროგრამის დაფინანსებისთვის.

ასევე, 1 200 000 ლარი არის გამოყოფილი მიუსაფართა თავშესაფრის მოვლა-პატრონობის პროგრამის დაფინანსებისთვის.

ბიუჯეტის პროექტში აღნიშნულია, რომ გაორმაგდება სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება. ისინი, ნაცვლად 25 ლარისა, მიიღებენ 50 ლარს.

5 მილიონი ლარით გაიზრდება თბილისის მუნიციპალიტეტის გამგეობების მიერ სოციალურად დაუცველი პირების დაფინანსება. ამ მიმართულებით, ნაცვლად 2014 წელს გამოყოფილი 9 მილიონისა, 2015 წელს 14 მილიონი ლარი დაიხარჯება.

თბილისის მერიის კიდევ ერთი დეკლარირებული პრიორიტეტისთვის — დედაქალაქის გამწვანებისთვის 2015 წლის ბიუჯეტი 5 მილიონით გაიზრდება და 20 მილიონ ლარს შეადგენს.

მესამე პრიორიტეტი, რომელზეც თბილისის მერმა დავით ნარმანიამ ისაუბრა, საბავშო ბაღების მშენებლობა და კეთილმოწყობაა. 8 მილიონი ლარით გაიზრდება საბავშვო ბაგა-ბაღების პროგრამა, რომლისთვისაც, ჯამში, 85 მილიონი ლარი გამოიყოფა. ასევე, დაიწყება 8 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა, რომლისთვისაც 2015 წლის ბიუჯეტში 20 მილიონი ლარია გათვალისწინებული.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ჯაბა სამუშიაც ადასტურებს, რომ 8-10 ბაღის მშენებლობისთვის უკვე შერჩეულია ადგილები.

**„ვიწყებთ იმის შესრულებას, რასაც არჩევნების წინ დავპირდით, რომ ერთხელ და სამუდამოდ საბავშვო ბაღებთან დაკავშირებული პრობლემა გადავწყვიტოთ. წინა ხელისუფლების დროს 40-მდე ბაღი, ფაქტობრივად, გასხვისდა და ამის გამო 20 ათასამდე ბავშვი ბაღის გარეთ დაგვრჩა. ეს პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადავჭრათ“,** — აცხადებს სამუშია.

**რაც შეეხება მერიის კიდევ ერთ პრიორიტეტს, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობას, ამ მიმართულებით 238 000 000 ლარი არის გათვალისწინებული. ავარიული შენობების გამაგრების სამუშაოებისთვის 18 500 000 ლარი იქნება გამოყოფილი, საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენისთვის, 60 120 000 ლარი; მრავალსართულიანი ავტოსადგომის მშენებლობისთვის — 3 500 000 ლარი.**

დავით ნარმანია ამბობს, რომ ბიუჯეტის პრიორიტეტების განსასაზღვრად 8000—მდე ადამიანი გამოიკითხა:

**„ბიუჯეტის პროექტის შედგენამდე მოხდა მოსახლეობის გამოკითხვა. სწორედ ამას დაეფუძნა თბილისის 2015 წლის ბიუჯეტი. მთელი რიგი პროექტები იქნება უფრო მეტად დეტალურად მოცემული და შეფასებების ინდიკატორები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს ამ პროექტების განხორციელების ეფექტიანობა შევაფასოთ, ასევე, 2015 წლის ბიუჯეტში იქნება დეტალურად გაწერილი“,** — აღნიშნა მერმა.

საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი ალექსანდრე ელისაშვილი მეტ გამჭვირვალობასა და სიცხადეს ითხოვს ბიუჯეტის პროექტის იმ ნაწილში, რომელიც ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასა და ძველი თბილისის რეაბილიტაციას შეეხება:

**„ჯერ ბიუჯეტის პროექტი არ მოგვსვლია, თუმცა მაქვს ინფორმაცია, რომ თბილისის განვითარების ფონდს 5-მილიონიანი ბიუჯეტი უნდა დაუმტკიცდეს, მაგრამ მე ასე ხელაღებით, სათანადო დაზუსტების გარეშე, ამის წინააღმდეგი ვარ. ჯერ უნდა გავიგოთ, რა მისია და მიზნები აქვს თბილისის განვითარების ფონდს. საშინელი მემკვიდრეობა დახვდა მას და ეს არის გამოსასწორებელი. რა უნდა გაკეთდეს, რა მისია უნდა ჰქონდეს ფონდს, სად არის მისი კომპეტენცია და სად არის გამგეობების კომპეტენცია და მათ შორის მიჯნა — ყოველივე ამის გარკვევის შემდეგ უნდა ვიმსჯელოთ თბილისის განვითარების ფონდისთვის 50 მილიონის მიცემაზე“,** — განაცხადა ელისაშვილმა.

ეკონომიკის ექსპერტი ირაკლი ლექვინაძე რადიო „თავისუფლებასთან“ ამბობს, მნიშვნელოვანი სიახლეა ბიუჯეტის პროგრამულობა, რაც უთუოდ წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაივალოს:

**„დათვლილი და ნაჩვენებია კონკრეტული შედეგი, თუ რა შეიძლება მოჰყვეს თითოეული პროექტის განხორციელებას. დასაბუთებულია ყველა ხარჯის ეფექტურობა და მიზანშეწონილობა, ანუ ჩვენ როცა ვამბობთ, ეს ესტაკადა უნდა აშენდეს, იქვე არის დასაბუთებული თუ რა გავლენა ექნება ამ მშენებლობას სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით და ეს 20 მილიონი რა ეფექტს მოგვიტანს. სწორედ ეს არის პროგრამულობა, როცა ნაჩვენებია კონკრეტული დასახარჯი თანხის მისაღები ეფექტი, ანუ უკუშედეგი“,** — აღნიშნავს ირაკლი ლექვინაძე.

**ბექა დანელია**

გახსენება

# გამოჩენილი მეცნიერი და სპორტსმენი

## აკადემიკოს გიორგი შხვაცაბაიას დაბადებიდან 110 წელი შეუსრულდა



**გიორგი შხვაცაბაია დაიბადა ქ. ქუთაისში 1904 წელს. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტზე, სადაც სოფლის მეურნეობის კათედრაზე სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ხელმძღვანელობდა პროფესორი კ.ამირეჯიბი.**

ერთ დროს ლეგენდარული სპორტსმენი, შემდეგ ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, საკავშირო და რუსეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მისი პირველი ვიცე-პრეზიდენტი, მრავალი სამეცნიერო შრომის, თუ გამოგონების ავტორი, თეორეტიკოსი, პრაქტიკოსი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, სწორედ ერთ-ერთი იმათგანია, ვინც კეთილი კვალი დატოვა ჩვენში.

1930 წელს იგი გაგზავნეს მოსკოვში სოფლის მეურნეობების მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ინსტიტუტის ასპირანტურაში. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, იცავს ჯერ საკანდიდატო, ხოლო შემდეგ სადოქტორო დისერტაციას თემაზე: „დინამოგრაფი — მისი თეორია, კონსტრუქცია და მეთოდიკა სოფლის მეურნეობის მანქანებისა და ტრაქტორების მბრუნავ ღერძებზე სიმძლავრის გასაზომად“. 1951 წელს მას ანიჭებენ პროფესორის წოდებას. ამავე წლიდან (სიცოცხლის ბოლომდე) ოთხი ათეულ წელზე მეტი ხელმძღვანელობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების კათედრას.

მისი წარმატებულ სამეცნიერო კარიერას განსხვავებული აზროვნება, ინდივიდუალური ხედვა, მიზანდასახულობა და მტკიცე ხასიათი განაპირობებდა. ღრმა ერუდიციამ, მაღალი კლასის მეცნიერულმა ნაშრომებმა, მრავალმხრივმა განსაკუთრებულმა პიროვნულმა თვისებებმა მას დამსახურებული ავტორიტეტი, პოპულარობა და პატივისცემა მოუპოვა მეცნიერთა ფართო წრეში, როგორც კავშირში, ისე მის საზღვრებს გარეთ. იგი სამართლიანად ითვლება სოფლის მეურნეობის შრომატევადი პროცესების კომპლექსური მექანიზაციის, ახალი ტექნიკური საშუალებებისა და ტექნოლოგიების შექმნისა და გამოყენების ცნობილ მეცნიერად.

საყოველთაო აღიარება და გამოყენება ჰპოვა მობილური ენერგეტიკის, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და აგრეგატების კვლევის, გამოცდისა და კონტროლის მის მიერ დამუშავებულმა მეთოდებმა და ორიგინალურმა ხელსაწყო-მოწყობილობებმა (ბრუნვითი, წევითი და როტაციული დინამომეტრები და დინამოგრაფები). მის მიერ შექმნილმა საკონტროლო-საგამოცდო ხელსაწყოებმა, საკავშირო სახალხო მეურნეობის მიღწევათა და საერთაშორისო გამოფენებზე (პოლონეთში, უნგრეთში, გდრ-ში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში) არაერთხელ დაიმსახურეს ოქროს მედლები და პირველი პრემიები.

მიწათმოქმედების მექანიკაში გ. შხვაცაბაიას შრომებმა მნიშვნელოვნად წასწია წინ ჩვენს ქვეყანაში საგამომცდელო, გამზომ ხელსაწყოთა დამზადების მეთოდიკის და ექსპერიმენტული სამუშაოების ჩატარების საკითხები. ასევე სოფლის მეურნეობაში გამოყენებული ტექნიკის და ტექნიკური საშუალებების საექსპლუატაციო და ენერგეტიკული მაჩვენებლების შესწავლა.

ბატონი გიორგი დიდ ყურადღებას უთმობდა მეჩაიობის დარგში შრომატევადი ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციის საკითხებს. მან დიდად შეუწყო ხელი „მცირე მექანიზაციის“ გამოყენებას მეჩაიობაში.

დიდი ძალა და ენერგია მოახმარა ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა აღზრდასა და ჩამოყალიბებას. მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაცულია 100-მდე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. სოფლის მეურნეობის ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა არაერთ თაობას ახსოვს გ. შხვაცაბაიას დახვეწილი და ღრმად შინაარსიანი ლექციები. იგი იყო სტუდენტთა საყვარელი ლექტორი.

გამოქვეყნებული ჰქონდა 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი (მათ შორის სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, გამოგონებები და სხვა) ტექნიკური კულტურების მოვლისა და გამოყენებისთვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო მანქანების თეორიის, კონსტრუქციის გაანგარიშების სხვადასხვა საკითხში.

ბატონი გიორგის არაერთი ნაშრომი თუ სამეცნიერო სტატია ითარგმნა და გამოქვეყნდა: გერმანიაში, პოლონეთში, ბულგარეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ჩინეთში, ვიეტნამში, რუმინეთში და სხვა ქვეყნებში. იგი რამდენჯერმე იყო მიწვეული სამეცნიერო მივლინებით საზღვარგარეთ.

მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე აკადემიკოსი გ. შხვაცაბაია აქტიურად მონაწილეობდა ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვაში. იყო რა სხვადასხვა დროს ქვეყნის რამდენიმე სამეცნიერო და სწავლულთა საბჭოსა და კომისიების თავმჯდომარე.

მის ცხოვრებაში უაღრესად დიდ როლს ასრულებდა სპორტი. ის იყო „ფენომენალური ნიჭით დაჯილდოებული მრავალმხრივი სპორტსმენი“. იყო კარგი ტანმოვარჯიშე, ქუთაისის ფეხბურთელთა გუნდის „ტრიუმფის“ კაპიტანი. თამაშობდა ჯერ თბილისის „დურუჯში“, შემდეგ, თბილისის „დინამოში“, თამაშობდა თავად ანდრო ჟორდანიას გვერდით. იყო საქართველოს და ამიერკავკასიის ჩემპიონი 60, 100 და 200 მეტრზე რბენაში. საკავშირო ჩემპიონატების პრიზიორი. 1928 წ. გიორგი შხვაცაბაია გახდა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი, ხოლო 1929 წელს დაამყარა სსრ კავშირის რეკორდი სიმაღლეში ხტომაში და გახდა პირველი ქართველი ჩემპიონი და რეკორდსმენი მძლეოსნობაში.

აღსანიშნავია ისიც, რომ იყო საკავშირო შეიარაღებული ძალების ნაკრების წევრი კალათბურთში. წლების განმავლობაში თავმჯდომარეობდა საქართველოს მშთ-ს საბჭოს. დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენითა და მედლით.

უნიკალური გვარის წარმომადგენელი და უნივერსალური პიროვნება იყო. მართლაც ასეა — შხვაცაბაიას გვარი იშვიათი და მცირერიცხოვანია. ამის ნათელი დადასტურებაა მისი ოჯახის გენეალოგია: გიორგის ჰყავდა ღირსეული ძმა და ძმისშვილები, რომლებიც ასევე ემსახურებოდნენ მეცნიერებას და სპორტს.

იყო უაღრესად კეთილშობილი, გულისხმიერი, უანგარო და თავმდაბალი ადამიანი, ცოცხალი სინთეზი, ფიზიკური და ინტელექტუალური სრულყოფილებისა. რჩეულთათვის ეს ორივე მწვერვალი ერთნაირად მისაწვდომი ყოფილა.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

კაკალ გულში

### წუწუნიანი თეზისები

● **ისე, 15-ში მატროსოვიდან ტელეხიდი რომ უზრუნველყოს უჩა ნანუაშვილმა, უპრიანი იქნება. ეს ისე შეადუღაბებს აქციას და ისე აწევს პროტესტის მუხტს, რომ შეიძლება პუტინმა სოჩაც დაგვიბრუნოს...**

● **რა იყო, ტო? პროკურატურის წამოწყებული საქმეების100 პროცენტიდან, დაახლოებით 60 პროცენტს ვერ ამტკიცებენ. პირდაპირ დარბაზიდან უშვებენ ეჭვმიტანილებს. ძალიან კარგია — არავის დაჭერა არ მიხარია რამდენიმე არაადამიანის გარდა, მაგრამ თუ მტკიცებულებები არ გაქვთ, რას იჭერთ, გამაგებინეთ? ამით ხომ თავებს იფარჩაკებთ და სალაპარაკოს აძლევთ შიდა მტრებს, რომლებიც არც თუ ისე ცოტა ყავს საქართველოს.... აქედან დასკვნა: პროკურატურა ვერ მუშაობს სათანადო დონეზე! ან რა ტემპით მუშაობთ, ტო? ჭიმავთ დროს ამა თუ იმ საქმის გამოსაძიებლად.! თან მთავარ საქმეებს გვერდზე დებთ და ისეთ საქმეებს მისდევთ, რომლებიც მეორე და მესამე ხარისხოვანია. არ გააჭირეს საქმე?!**




● **ახლა ის დროა, ყველა ატრიბუტიკა, რაც კი შეიძლება გამოყენებულ იქნას 15 ნოემბრის გარეწართა შეკრებაზე, ერთხელ და სამუდამოდ აიკრძალოს და მომავალში გაიხსნას მუზეუმი „შინაური ოკუპანტები“, სადაც ეს ყველაფერი განთავსდება...**

● **ყურადღება!**

**არ ვეძებ სამსახურს (რა აზრი აქვს,მაინც ვერ ვიშოვი!)!**

**ყელამდე ბედნიერი ვარ 150-ლარიანი პენსიით (რომ ვიწუწუნო, არ მყოფნისმეთქი მაინც არ მომიმატებენ)! ვოცნებობ ყოველდღე და უსაზღვროდ (სხვა რა დამრჩენია?)!**

**შევიყვარე „მტერი ჩემი (ნომერი 5) (როცა მძულდა, წნევები დამეწყო, ახლა მშვენივრად ვარ!)!**

**გამოვიგონე ჰაერითა და მზის სხივებით დანაყრების აპარატი (ამ ქვეყანაში გამომგონებელი კი არა „ნიუტონი“, გახდები)!**

**ყველა ქალს ისე ვუყურებ როგორც დას, გოგონებს როგორც შვილებს და შვილიშვილებს (აბა სხვა რა გზა მაქვს?)! ზურგი მეფხანება(ალბათ ფრთები უნდა ამომივიდეს...ან „პროსტო“ დასაბანი ვარ).**

**გეკითხებით, მეკუთვნის თუ არა ნობელის პრემია?**

● **არ შემიძლია, არ ვთქვა... ირაკლი ღარიბაშვილის შვილის ფოტო გააზიარეს და ქვეშ ვიღაც ქალი უწერს:**

**„რა ანგელოზები არიან ორივე, ასეთი შვილები არავის ჰყავს, ნეტავ, ახლა მაჩქმეტინა და მერე ჩამახუტა ამ ბავშვებთანო“...**

**მართლაც ლამაზი შვილები ჰყავს, არაჩვეულებრივი მეუღლე და სამაგალითო ოჯახი, მაგრამ ამ ვაზელინწასმულ ადამიანებს ვერ იტანს ჩემი ნერვები...ამნაირი მლიქვნელებით რომ გაივსო ქვეყანა, პირველი შეძლებისთანავე რომ შეუძლიათ, ფეხი დაუდონ იგივე ღარიბაშვილს, იმიტომ აღარ აქვს სიტყვებს ფასი..**

**ტფუი... მიშას ქალებსა და ამ ქალებს შორის რა განსხვავებაა?**

**ამოკრიბა**
**გია გაბრიჭიძემ**

მოვითხოვ!

# მსოფლიოს გავაცნოთ ობიექტური დოკუმენტები

**ხელისუფალნო, მოგმართავთ არა თხოვნით, არამედ მოთხოვნით: მსოფლიოს ქვეყნების მთავრობებს, გაეროს, ევროსაბჭოს და ყველა შესაბამის ორგანიზაციას გაეგზავნოს გასაცნობად, ობიექტური შეფასებისათვის ის დოკუმენტები, ვიდეომასალა, რომელიც ნათლად ასახავს სააკაშვილისა და ნაციონალური პარტიის მესვეურთა პოლიტიკის აღმაშფოთებელ ფაქტებს, რათა საბოლოოდ დაესვას წერტილი მათი მხრივ ჭკუის სწავლებას, უაზრო ბრალდებებს ე. წ. პოლიტიკური ნიშნით ოპოზიციის დევნის საკითხს და სხვ...**

**გოგა ხაინდრავას, ირმა ინაშვილის, დავით თარხან-მოურავის ამ მხრივ მუშაობა მისასალმებელია, მაგრამ საჭიროა, ეს განხორციელდეს სამთავრობო დონეზე. საგარეო საქმეთა სამინისტროს პირდაპირი მოვალეობა უნდა იყოს, სააკაშვილისა და ნაციონალური პარტიის პოლიტიკის აღმაშფოთებელი ფაქტების ობიექტური შეფასება და მათი მიწოდება საზღვარგარეთის ქვეყნების სამთავრობო სტრუქტურებისათვის, რაც აქამდე არ ხდებოდა და რაც დანაშაულია. ასევე ელჩები არ შეირჩეოდა პროფესიული ნიშნით. ხელისუფალნო, აღარ დადგა დრო, რომ ნაციონალური პარტია გამოცხადდეს კანონგარეშედ და გასამართლდეს, თუ უნდა გადავარჩინოთ იგი, როგორც ამას უსუფაშვილი ბრძანებს?**

**ლონდა მდივანი**

მხარე

# ინფრასტრუქტურული პროექტები გრძელდება

**დედოფლისწყაროში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები გრძელდება: სოფელ სამრეკლოდან ქედების მიმართულებით ხუთკილომეტრიანი გზის რეაბილიტაცია ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით განხორციელდა.**

**„სოფლის განვითარების პროგრამის“ ფარგლებში და მუნიციპალიტეტის სახსრებით სოფელ ხორნაბუჯში მინისტადიონი გაკეთდა. სოფლის მოსახლეობა კმაყოფილებას გამოთქვამს, რადგან მათ შვილებს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაში უთუოდ შეუწყობს ხელს. სტადიონიდან მშვენიერი ხედი იშლება და უფროსი ასაკის ადამიანებიც დასვენების საუკეთესო გარემოდ მიიჩნევენ ამ ადგილს.**

**ნანა ჭიჭინაძე**

ალიანჩალიანი

# ტყე ისევ უკანონოდ იჭრება

**გარემოსდაცვითი ზედამხედველობითი დეპარტამენტის თანამშრომლებმა წიწვოვანი სახეობის ხე-ტყის უკანონო გადამუშავების ფაქტი გამოავლინეს.**

**გარემოსდაცვითი ზედამხედველობითი დეპარტამენტის, დასავლეთ-ცენტრალური სამსახურის თანამშრომლებმა დაბა ლენტეხში, ხე-ტყის გადასამუშავებელ სახერხ საამქროში 10 კბ.მ-დე წიწვოვანი სახეობის ხე-ტყის უკანონო გადამუშავების ფაქტი გამოავლინეს.**

**სამართალდამრღვევებს უკანონოდ მოპოვებული სამასალე მორი ჩამოერთვათ. მიმდინარეობს გარემოზე მიყენებული ზიანის დადგენა. მასალები შემდგომი რეაგირებისათვის შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს გადაეგზავნა.**

**ინტერპრესი**



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №229

# 2. ფინეთის ცივი მზე

## „ლეგიტიმური რომ იყოს ხელისუფლება...“

**პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მთავრობის, საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმური პრემიერ-მინისტრი, ბატონი ბესარიონ გუგუშვილი თავის ინტერვიუში არა მარტო იურიდიულად განმარტავს ხელისუფლების ლეგიტიმაციის საკითხს.**

**მადლობას ვუხდით რეჟისორ ზვიად მიქელაძეს ამ ექსკლუზიური მასალის მოწოდებისთვის, რომელიც ჩაწერილია ამა წლის აგვისტოში, ფინეთის ქალაქ ვანტააში.**

**– თუ დღევანდელი საქართველო უპირისპირდება თავისი სახელმწიფოებრიობის ჭეშმარიტი, ლეგიტიმური ხელისუფლების განხორციელებას, რა შეიძლება ამას მოჰყვეს**



**საქართველოსთვის? საერთოდ, როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოში ლეგიტიმური ხელისუფლების აღდგენა?**

– მამაჩემი ხმარობდა ტერმინს „მარტივი აზროვნება“. დღეს რაც ინერგება და რისი განხილვაც ხდება, ყველაფერი მიმართულია აზროვნების გამარტივებისაკენ. მაღალი აზროვნება კი არა, მარტივი აზროვნება უნდათ, მდაბიო აზროვნებამდე დაჰყავთ ყველაფერი...

რას ნიშნავს ლეგიტიმური ხელისუფლება საქართველოსთვის? ამ საკითხს კაპიტალურად უნდა შევხედოთ. ლეგიტიმური რომ იყოს ხელისუფლება, პირველ რიგში, ხალხის ინტერესებს უნდა გამოხატავდეს, მაგრამ ზვიად გამსახურდიას იდეა გულისხმობდა ხალხის, არა როგორც ბიომასის, ბიოლოგიური ადამიანის ინტერესებს, არამედ მართმადიდებელი, ქრისტიანი ადამიანის მიდგომას, პირველ რიგში, სამართლიანობის მიმართ. ამ შემთხვევაში ღვთის სამართალია უზენაესი. ზვიადის იდეა იყო, რომ ჩვეულებრივი, ყოველდღიური, რუტინული სამართალი, აგებული უნდა იყოს ქრისტიანულ ღვთის სამართალზე. ღვთის სამართალს უნდა ეფუძნებოდეს. ამდენად, ლეგიტიმური შეიძლება საქართველოსთვის მხოლოდ ის ხელისუფლება იყოს, რომელიც ღვთის სამართალს ეფუძნება.

**– შესაძლებელია, რომ ამგვარად „აღდგენილი ხელისუფლება“ ლეგიტიმურ ხელისუფლებას სამართლებრივად და ფორმალურად არ გამოხატავდეს.**

– ეს იყო მიმართულება, რომლისკენაც ჩვენი ხელისუფლება მიდიოდა და ეს იყო მისი ლეგიტიმურობის მთავარი არსი. ჩვენმა ხელისუფლებამ დასახა მიზნად მისვლა იქამდე, რომ სახელმწიფო სამართალი ღვთის სამართალს დაფუძნებოდა. ვიმეორებ, ის ხელისუფლება, რომელიც ზვიად გამსახურდიამ, როგორც ლიდერმა შექმნა, პირველ რიგში, ლეგიტიმური იყო იმ თვალსაზრისით, რომ ითვალისწინებდა უზენაეს პრინციპს, **უზენაესი პრინციპი – ღვთის სამართალი ედო საფუძვლად და არა ბიომასის სამართალი!** არა ბიოლოგიური ცხოველების, პოლიტიკური თუ ეკონომიკური ცხოველების სამართალი. ეს ორი სამართალი ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან.

ზვიადი გენიოსი და გიგანტი იყო იმ თვალსაზრისით, რომ მან ასე მაღლა აიტანა ეს საკითხები. **ამგვარი მაგალითი ისტორიაში არ ყოფილა და არ არის, თუ ათასი წლის წინანდელ ბიზანტიას არ ვიგულისხმებთ, რომელმაც სცადა ღვთის სამართალი სახელმწიფოს სამართლისთვის საფუძვლად დაედო.** ზვიად გამსახურდიამ, როგორც უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ და პრეზიდენტმა, თავის განცხადებებში ეს იდეა სულ ცოტა ორჯერ ჩამოყალიბებულად გააცნო ხალხს, მაგრამ ბიომასისთვის ამას არა აქვს მნიშვნელობა. ბიომასა იბრძვის იმისთვის, რომ კუჭი გაიძღოს. თვითონ ამ ლეგიტიმურობის საფუძველი არის არა ბიოლოგიური ადამიანი, არამედ სულიერი ადამიანი. ზნეობრივიც კი არა, სულიერი ადამიანი... და ის ხელისუფლება ლეგიტიმური იყო იმდენად, რამდენადაც ამას ითვალისწინებდა და ამისკენ მიდიოდა. სხვა შემთხვევაში მთავრობა მისაღები შეიძლება იყოს მხოლოდ ბიომასის და გლობალიზმის ჭრილში, მაგრამ ვიღაცები გვცნობენ ასეთად კარგად. მაგალითად, ამერიკას მოსწონს, რომ ასეთები ვართ...

თუ კაპიტალურად ვიმსჯელებთ, ესაა პრინციპული განსხვავება. ამაში მდგომარეობს ლეგიტიმურობის არსი და ჩვენი ხელისუფლება იყო და არის ლეგიტიმური იმიტომ, რომ ისევ ამ გზას ვადგავართ და ამ გზაზე უარი არ გვითქვამს. **ჩვენ ვაშენებდით სახელმწიფოს, სადაც პრიორიტეტი ექნებოდა სულიერ საწყისებს, ღვთის სამართალს.** რა თქმა უნდა, არ მოგვცეს ამის საშუალება. ეს გასაგებია და ასეც უნდა მომხდარიყო, დიახ, ასეც უნდა მომხდარიყო, მაგრამ ჩვენ მივეცით მაგალითი. ბიოლოგიური ადამიანის მისწრაფებები არის ცხოველური: გაძღეს, ქალი იშოვოს, დაიკმაყოფილოს ძირითადი ინსტინქტები.

90-იან წლებში ეს იდეა უცნობი იყო ხალხისთვის. ჩვენი მოძრაობა, თავისი არსით რომ ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობაა, ხალხს არ ჰქონდა შეგნებული. ხალხისთვის უწინარესი იყო დამოუკიდებლობის მოპოვება, ბიომასის სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. ეს საკითხები შეუგნებელი იყო მაშინაც და დღესაც, უფრო სწორად, შეუცნობი იყო ხალხისთვის. ეს შეკითხვა მოითხოვს, შევაფასოთ, ლეგიტიმურობის აღდგენისთვის რა ფაქტორებია საჭირო. მარტივად გეტყვით: ამისთვის საჭიროა მართლმადიდებელი ადამიანი, ნამდვილი, ჭეშმარიტი მართლმადიდებლური მრევლი. ზნეობით და სულიერებით გამსჭვალული ერი უნდა იყოს, რომ მან ამავე პრინციპებზე აგებული სახელმწიფო დააფუძნოს. დღეს ქართველი ერი ასეთი არ არის. ამომრჩეველი უნდა იყოს მრევლი, თორემ ბიომასამ ის აირჩია და ის ჰყავს, რაც ერგება. მე არ ვამბობ, რომ საქართველოს დღეს ის მთავრობა არ ჰყავს, რომელიც დღევანდელ საქართველოს არ ერგება. ის ჰყავს სწორედ, რაც ერგება. გამოდიოდნენ და ბღაოდნენ: „მიშა, მიშა“... ეს ხომ ბიომასა იყო?! **უფალს კი არ მიმართავდნენ, „მიშა-მიშას“ ბღაოდნენ. მერე „ბიძინას“ გაიძახოდნენ...**

**– როგორ უნდა დამკვიდრდეს ამგვარი მაღალი იდეა? თავის დროზე ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ თითქოს შეძლეს ეს სინამდვილე შეექმნათ...**

– სინამდვილე არ იყო შექმნილი. ზვიადმა იდეა წამოაყენა, რომლის განხორციელება ვერ მოხერხდა. იდეა დატოვა, რომელიც დღესაც აუთვისებელია. იდეის გახარებისთვის მატერიალური საფუძველი არაა საჭირო. აქ საუბარია, პირველ რიგში, სარწმუნოებისთვის ბრძოლაზე... და სარწმუნოებრივ საკითხს თუ ეჭვქვეშ დავაყენებთ, მაშინ ლეგიტიმურობა არასდროს აღდგება. თუ საქართველოში არ აღდგა ნამდვილი, ჭეშმარიტი სარწმუნოება და ერი არ გადაიქცა მრევლად, ეს იდეაც ვერ გაიხარებს. ჭეშმარიტი ქრისტიანი ღმერთს სთხოვს მიანიჭოს სიმტკიცე, რათა ტანჯვას და წამებას გაუძლოს. დღეს კი ვის უნდა ტანჯვა-წამება? ერში დამკვიდრებულია ასეთი კატეგორია „წარმატებული ადამიანი“...



ამას ძალიან მტკივნეულად განვიცდი. ვინაა ეს „წარმატებული ადამიანი“? ვინც ფული იშოვა. დღევანდელი ერი გამსჭვალულია ამ წარმატების ძებნით, ანუ ფულის შოვნით. არავინ არ გეტყვის, რომ ქეთევან წამებულია ყველაზე წარმატებული ქართველი, იმიტომ რომ ის ეწამა. აქ ლაპარაკია სულ სხვა პრინციპებზე. რაც შეეხება იმას, თუ როგორ მივიტანოთ იდეა ხალხამდე, ცალკე საკითხია. ეს არ ეხება საკუთრივ სახელმწიფოებრიობას. აქ საუბარია იდეაზე. ეს იდეა ზვიადის მიერ დატოვებულია. ეს იდეა, სახელმწიფოს და ღვთის სამართლის შერწყმის, ალბათ, ბოლო ათასწლეულის განმავლობაში, პირველად, ვინც წარმოთქვა, იყო ზვიად გამსახურდია. ზვიადი ამითაა დიდი და არა იმით, რომ ბიოლოგიური ცხოველი უნდა გაეძღო. ზვიადმა ქართველებს უთხრა: იბრძოლე და ეწამეო. ერთად ვიბრძოლოთ სარწმუნოებისთვისო, – მოუწოდა ერს.

ამ იდეის გავრცელება შესაძლებელია. თუ ასეთი იდეით განიმსჭვალება ერი, გარწმუნებთ, საქართველოში სავსებით საკმარისი საკვებია, რომ ყველას ეყოს, სავსებით საკმარისი საცხოვრებელი ფართია, რომ ყველამ იცხოვროს. სინამდვილეში ყველასთვის ყველაფერი საკმარისია, მაგრამ არ არის ქრისტიანული მიდგომა. ეს ხალხი არ არის ქრისტიანი და მართლმადიდებელი. მარტო იმის თქმა, რომ „მე მიყვარს ჩემი პატრიარქი“, არ არის ქრისტიანობა.

**– შესაძლებელია სახელმწიფო აღმასრულებელი ხელისუფლების რანგში ამ იდეის გატარება?**

– ადმინისტრაცია არის მანქანა. საქართველოში ხელისუფლებაც გააკერპეს. ხელისუფლება არის მანქანა. კარგია თუ ეს მანქანა ეფექტურად მუშაობს, თუ არა, უნდა დაზეთო. ზვიად გამსახურდიას მიერ შექმნილი ხელისუფლება, როგორც იდეა, თავიდანვე განწირული იყო, ისევე, როგორც თავიდანვე განწირული იყო უფალი ღმერთი, რომელიც განკაცდა. აქ მიზანი არ არის მატერიალური. ზვიად გამსახურდიას საქმიანობას პირველ რიგში აფასებენ სწორედ ამ მატერიალისტური მიდგომით. იმ კაცის მიზანი არც იყო ეს მატერიალური მხარე, თუმცა, მას რაც შეეძლო გაეკეთებინა მაგალითის მოცემა და იდეის დატოვება, გააკეთა. ზვიადმა უთხრა ხალხს: შენ უნდა შეიცვალო! როგორიც შენ ხარ, ისეთი ვერ ააშენებს სახელმწიფოს, რომელიც უფლის კანონებს დაეფუძნებაო... მოსვლა სახელმწიფოს სათავეში სჭირდებოდა, პირველ რიგში, ამის ქადაგებისთვის. მან იქადაგა მაღალი ტრიბუნიდან, ჯერ როგორც უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, შემდეგ, როგორც პრეზიდენტმა.

ამგვარი შეკითხვების უმრავლესობა მატერიალისტისგან მოდის, კერპთაყვანისმცემლისგან, უკეთეს შემთხვევაში, ძველი აღთქმის ადამიანისგან. ქართველი ერის შეკითხვებია ეს სინამდვილეში. აქედან ჩანს, რომ ქართველი ერი არ არის თვითონ ქრისტიანი. უკეთეს შემთხვევაში ქრისტიანად შერაცხილი კერპთაყვანისმცემელია. ზვიადს ეს სახელმწიფოებრიობა, დამოუკიდებლობა სჭირდებოდა იმისთვის, რომ შეექმნა ამ იდეის ქადაგების, ანუ ხალხის გაქრისტიანებისთვის უკეთესი პირობები.

მინდა, გითხრათ, რომ ამ იდეით განწყობილი ერი, მატერიალურადაც უკეთ იცხოვრებს, მაგრამ ღვთის იმედი არა აქვთ დღევანდელ ქართველებს. **ამერიკის იმედი აქვთ, უფლის – არა.** ზვიადს ეყო სითამამე, ექადაგა ის, რაც არაპოპულარულია. საქმე ის გახლავთ, რომ დღეს რაც არის შემოსავალი ერთ სულზე, თუ განაწილდება ისე, როგორც უნდა გაუნაწილოს მოყვასმა მოყვასს, ყველას ეყოფა. საკმარისი დოვლათია საქართველოში.

90-იანი წლების მოძრაობა, შეუცნობლად მიდიოდა იმ გზისკენ, რომელსაც შეიძლება „ზვიადის გზა“ დავარქვათ. ზვიადს ჰქონდა უნარი, სულიერების მუხტი გადაეცა ხალხისთვის. სპეციფიკური ნიჭი ჰქონდა ამისთვის და თვითონ იყო სულიერების განსახიერება.

სააკაშვილს თავისებური ნიჭი ჰქონდა – დაეთრგუნა და მოენუსხა ხალხი.

ზვიადი ისეთ ნათელს ასხივებდა, რომ მან შეძლო ზედმეტი განმარტებების გარეშე, ხალხში ეს იდეა ჩაენერგა. ხალხს უჭირდა იდეის ვერბალიზაცია, მაგრამ გრძნობდა მას იმ სულიერების განცდით, რაც ყველა ადამიანს გააჩნია. ზვიადმა ეს გააღვიძა ადამიანებში. ამიტომ ჰქონდა ასეთი სასტიკი წინააღმდეგობა.

ზვიად გამსახურდია დაამხო ბალტინის ფლოტმა, რომელიც შემოვიდა ამერიკის თხოვნით. მანამდე ბრძოლა მიმდინარეობდა, რადგან გაირკვა, რომ საქართველოში არ არის საკმარისი ძალა, რომელიც დაამხობს ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას. ბოლოს აუცილებელი გახდა მოეწვიათ რუსეთის არმიის ფლოტი.

## „ზვიადმა თვითონ ხალხი გადააქცია სახელმწიფოდ“

ზვიადმა სასწაული მოახდინა. ის, რაც მოხდა მაშინ, საქართველოში: კომუნიზმის ლოდინის წლებში მიძინებულმა ხალხმა უცებ გაიღვიძა. ხალხი, რომელიც რაიკომის მდივნობაზე ან რაიონის მილიციის უფროსობაზე ოცნებობდა, ზვიადმა ეს ხალხი შეცვალა. ზვიადმა და მერაბმა. ზვიადმა თვითონ ხალხი გადააქცია სახელმწიფოდ. მაშინ მასობრივ გმირობას ჰქონდა ადგილი. ასობით ათასი ადამიანი ტყვიის ქვეშ გამოდიოდა.

**– თქვენი საუბრიდან იკვეთება აზრი, რომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება იყო ლეგიტიმური იმდენად, რამდენადაც მან ქვეყანა და ხალხი აღადგინა მარადიულად არსებულ ლეგიტიმურობაში, რასაც თქვენ ღვთის სამართალს უწოდებთ. გამოდის, რომ ლეგიტიმურობა კი არ გამქრალა, არამედ ხალხი თავიდან უნდა აღდგეს მასში...**

– გამარჯვება უკვემოპოვებული აქვს ზვიადს. თან ეს მართლაც სამარადჟამო გამარჯვებაა. ეს მაგალითი თაობებს გაუძლებს. ისეთი რამ დათესა ზვიადმა, რომელსაც არც მორწყვა სჭირდება და არც სასუქი. ეს იდეა უკვე თავისით ცხოვრობს. ლეგიტიმური ხელისუფლების აღდგენაც სწორედ ამას გულისხმობს, რომ ეს სულიერება უნდა აღდგეს. ეს იდეა, სანამ იარსებებს, ესე იგი, იდეაში იარსებებს ლეგიტიმური ხელისუფლებაც. ზვიადმა ისეთი სახით დააფუძნა ლეგიტიმური ხელისუფლება, რომელიც არ საჭიროებს მატერიალურ საფუძველს. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ დღეს ამ იდეის ვერბალიზაცია ვერ ხდება, ანუ ეს იდეა გაუცნობიერებლად არსებობს. უბრალოდ, ხალხს უნდა ვასწავლოთ ამ იდეის სწორი ტერმინებით ჩამოყალიბება.

ლეგიტიმური ხელისუფლება არსებობს. არსებობს მინისტრთა კაბინეტი. დღეს ეს ყველაფერი იატაკქვეშაა და არ ხმაურდება, მაგრამ მისი უპირველესი ამოცანაა იდეოლოგიის ჩამოყალიბება და ხალხამდე ნელ-ნელა მიტანა.

ზვიად გამსახურდია არის ზნეობრივი გმირი და როდესაც ერს ჰყავს ზნეობრივი გმირი, მას აქვს ისეთი რესურსი, რომელსაც ტრილიონობით დოლარით ვერ მოიპოვებ და რომელსაც ხარჯი არა აქვს. სულ ანათებს.

**– როდის ჩამოგიყალიბდათ ასეთი წარმოდგენა ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობაზე? როდესაც მის გვერდით მუშაობდით, თუ გიფიქრიათ ამ კუთხით?**

– სულ ახლახან, რამდენიმე წლის წინათ, როდესაც დაწყნარებულმა დავიწყე ზვიად გამსახურდიას გამოსვლების მოსმენა, პარალელურად მისი **„დილემა კაცობრიობის წინაშე“** შევისწავლე, ნელ-ნელა გამონათდა ის, რასაც ზვიადი გულისხმობდა.

ადრე მეც, როგორც ყველა, რაღაცნაირი სულიერი პათოსით მივყვებოდი ზვიად გამსახურდიას და ძირითადად ეს იყო დამოუკიდებლობის იდეა. მაშინ მეც ასე მესმოდა, რომ ამ ბრძოლას უნდა უზრუნველეყო ქართველი ერის ბიოლოგიური გადარჩენა. ზვიადის, როგორც სულიერი მოძღვრის როლს, სულ რამდენიმე წელიწადია, რაც ჩავწვდი. ჩემთვისაც ძნელი ჩასაწვდომი იყო, კაცისთვის, რომელიც თვეობით ზვიადის გვერდით იდგა. **რასაც ადრე ვგრძნობდი, ახლა შევიცანი და ვიპოვე შესაბამისი სიტყვები. გაკვირვებული დავრჩი, თურმე რაზე გველაპარაკებოდა...** მის გვერდით რომ ვიყავი, ვგრძნობდი, რომ მუხტი და სინათლე მოდიოდა მისგან, მაგრამ ამ სინათლის დანიშნულებას ვერ ვხვდებოდი. რას გვიშუქებდა, იმას ვერ ვხედავდით. ზვიადის ნაშრომები მართლმადიდებლური, ქრისტიანული აზროვნების მიღწევაა. ის ღია ტექსტით ლაპარაკობს ყოველივეს, მაგრამ გამგები არ იყო მისი, მაგრამ ზვიადმა თქვა ეს იმის იმედად, რომ მერე, ოდესმე გაიგებდა ხალხი.

**მასალა მოამზადა,**
**ზვიად მიქელაძემ.**

**(გაგრძელება იქნება)**

**ანონსი: შემდგომში შემოგთავაზებთ ზ. გუგუშვილის მონათხრობს ზვიად გამსახურდიას სიკვდილის გარემოებათა შესახებ, ანუ რა მოხდა ზუგდიდის რაიონის სოფელ ხიბულაში 1993 წლის 31 დეკემბერს.**

# საზღვართან ახლოს...

## ფოტორეპორტაჟი ოძისიდან

**ისტორიის გაკვეთილებიდან ვიცით, რომ საუკუნეში ერთხელ მაინც ხდება ერის ნამდვილი კონსოლიდაცია რაღაც ფაქტის თუ იდეის გარშემო.**

1882 წელს, როცა ქართული თეატრის სცენაზე სპექტაკლი **„სამშობლო“** დაიდგა, ვერ წარმოიდგენდით, რომ მისი ავტორი ფრანგი დრამატურგი **სარდუ** გახლდათ, რადგან **დავით ერისთავის** მიერ გადმოქართულებული ეს პიესა ზუსტად და ამაღელვებლად პასუხობდა იმდროინდელი საქართველოს სულისკვეთებას. მაშინ, როცა სცენაზე ქართული დროშა შემოიტანეს, ემოციურად შეძრულმა საზოგადოებამ დაიჩოქა, რიტუალურად ეამბორა დროშას, როგორც ეროვნულ სიმბოლოს. სპექტაკლმა ეროვნული მანიფესტაციის ხასიათი მიიღო, რასაც სასწრაფოდ მოჰყვა რუსი მოხელის დამცინავი პასკვილი: ჯობს ქართველებმა ეს დროშა გოლდფრუას ცირკს მიჰყიდონო. ამ პუბლიკაციას შემდგომ ილია ჭავჭავაძე გამანადგურებელი პასუხით გამოეხმაურა.



ქართველი მწერლის, დრამატიული საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებლის, პუბლიცისტის **დავით ერისთავის** და ასევე ცნობილი დრამატურგის, „ცისკრის“ რედაქტორის, ქართული თეატრის დამფუძნებლის **გიორგი ერისთავის** ერთიანი სახლ-მუზეუმი, დუშეთის რაიონის სოფელ ოძისში, დღეს დანგრეულია და იავარქმნილი. საგულისხმოა, რომ იქვე, სულ ხუთას მეტრში, შიდა ქართლში, ახლა რუსული და ოსური დროშები ფრიალებენ (ეს ჩვენი უახლესი ისტორიის, 2008 წლის მონაპოვარია).

* * *

**გვიდის ირონიას თუ მივაწერთ იმას, რომ ეს ჯერ კიდევ 1961 წელს დაარსებული დავით და გიორგი ერისთავების მუზეუმი, მემორიალური სახლი, უნიკალური ექსპონატებით, თითქმის ორი ათეული წელია, რაც ინგრევა და პარტახდება.**

ეს მუზეუმი ოძისში რამდენიმე დღის წინათ ვინახულეთ. შენობა, რომელსაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული, კულტურის სამინისტროს ბალანსზეა. ჰყავს ექვსი თანამშრომელი და წელიწადში 17 300 ლარით ფინანსდება.

ნუთუ ამ გარემოში შესაძლებელია სამუზეუმო, სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობა, რითაც განისაზღვრება ზოგადად მუზეუმის სტატუსი.

მუზეუმის დირექტორი, ბატონი **დიმიტრი რუსია,** გვარწმუნებს, რომ მიმართა სხვადასხვა ინსტანციებს, პიროვნებებს, მაგრამ ამ შენობაძეგლის რესტავრაცია არავის სურს და არავინ ეხმაურება.

ინტერიერში, ე.წ. საექსპოზიციო სივრცეში, შემორჩენილია მემორიალური ნივთები, ცნობილი მხატვრების ნამუშევრები. აქ ფონდებისთვის აუცილებელი ტემპერატურისა და ტენიანობის დაცვაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. დღემდე, ასე თუ ისე გადარჩენილი ექსპონატები, რესტავრაციის დაწყებამდე, სასწრაფო კონსერვაციას საჭიროებენ. სამწუხაროა, რომ რიგ ექსპონატებთან ერთად დაკარგულია ერისთავების ცნობილი ფრანგული ბიბლიოთეკაც...

უიმედობის განცდას აღძრავს ეს სევდიანი გარემო. შუაგულ ქართლში გავლებული ე.წ. საზღვარი, რომელსაც ოკუპანტები იცავენ. ცოტა აქეთ ძველი ეკლესიაა, სადაც ნიკოლოზ ბარათაშვილის ღვიძლი და ეკატერინე ბარათაშვილი ასვენია და, როგორც ვთქვით, იქვე ქართველი მწერლების დავით და გიორგი ერისთავების სრულიად გაპარტახებული სახლი და გარემო.

დასასრულ, ქართული კომედიოგრაფიის დამაარსებლის გიორგი ერისთავის სიტყვებს მოვიყვანთ პიესიდან „გაყრა“. ანდუყაფარ დიდებულიძე ამბობს:

**„აი, ოჯახის დაღუპვა, გვარის დამცირება... აღარც ძმის სიყვარული, აღარც ნათესაობა... ო, რა ცუდი დრო არის ოჯახებისთვის!“..**

**ნინო ხოფერია.**

**სურათებზე: დავით და გიორგი ერისთავების სახლ-მუზეუმის დღევანდელი მდგომარეობა.**










## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოს კურსი

## ქართველი ექსპერტები საფრთხის შესახებ ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე

**შეერთებული შტატები კვლავ უჭერენ მხარს საქართველოს, მიუხედავად ხელისუფლებისა და თანამდებობის პირთა შეცვლისა.** 13 ნოემბერს ამის შესახებ განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში რიჩარდ ნორლანდმა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ახალ ხელმძღვანელთან თამარ ბერუჩაშვილთან შეხვედრის შემდეგ.

„ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა მინისტრ ბერუჩაშვილთან. მას აქვს საკმაოდ სწორი წარმოდგენა საქართველოს საგარეო კურსთან დაკავშირებით. შეხვედრაზე ჩვენ შევთანხმდით ზოგიერთ საკითხზე, მათ შორის, გამოწვევების შესახებაც, რის წინაშეც დგას საქართველო, აგრეთვე სიტუაციის შესახებ უკრაინაში. ჩვენ ვისაუბრეთ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის შესახებ, ჩემი სიგნალი ასეთია: წინა მთავრობის და წინა მინისტრის შემთხვევაში ამერიკის შეერთებული შტატები 100 პროცენტით უჭერს მხარს საქართველოს", — განუცხადა ნორლანდმა ჟურნალისტებს შეხვედრის შემდეგ.



აღსანიშნავია, რომ ბერუჩაშვილის წინამორბედმა მაია ფანჯიკიძემ 5 ნოემბერს განაცხადა თავისი გადადგომის შესახებ, ახსნა ეს გადაწყვეტილება დაშინებებით, რომლებიც არის საქართველოს ევროატლანტიკურ გზაზე. მაშინ ფანჯიკიძესთან ერთად გადადგომის შესახებ განაცხადეს ყველა მისმა მოადგილემ, მათ შორის, თამარ ბერუჩაშვილმაც. მაგრამ მოგვიანებით ფანჯიკიძის ყველა მოადგილემ, ერთის გარდა, შეცვალა თავისი გადაწყვეტილება.

როდესაც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ახალ თანამდებობაზე წარადგინა, ბერუჩაშვილმა განაცხადა საქართველოს ევროატლანტიკური არჩევანის შეუცვლელობის შესახებ. რაც შეეხება მის წინა განცხადებას საგარეოპოლიტიკური კურსის შეცვლის საფრთხის შესახებ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ახალმა ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მისი „ეჭვები" ამასთან დაკავშირებით „გაგრძელდა სულ რაღაც რამდენიმე საათი" და ისინი გაიფანტა პრემიერთან შეხვედრის შემდეგ, რომელმაც „მკაფიოდ და ცხადად" უპასუხა ყველა იმ შეკითხვას, რაც დაკავშირებული იყო ამ საკითხებთან.

შეგახსენებთ, რომ 4 ნოემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ „რათა არ დავუშვათ თავდაცვის სამინისტროს პოლიტიზაცია", მან მიიღო გადაწყვეტილება მოხსნას თანამდებობიდან თავდაცვის უწყების ხელმძღვანელი ირაკლი ალასანია. საკითხი შეეხებოდა რამდენიმე დღის წინათ დაკავებულ თავდაცვის სამინისტროს მაღალი რანგის ჩინოვნიკებს, რომლებსაც ბრალს სდებენ განსაკუთრებით დიდი ოდენობით გაფლანგვებში. ირაკლი ალასანია უარყოფს მათ ბრალდებას და აცხადებს „მიზანმიმართული შეტევის შესახებ", რომელიც გულისხმობს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის ჩავარდნას.

მას შემდეგ, რაც ალასანია გადააყენეს, საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა და სახელმწიფო მინისტრმა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში, რომლებიც ირაკლი ალასანიას პარტიის წევრები არიან, მიიღეს გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ საკუთარი სურვილით.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოთქვა შეშფოთება სამი მინისტრის გადადგომასთან დაკავშირებით და მიმართა საქართველოს მთავრობას მოწოდებით, გადადგას შესაბამისი ნაბიჯები, რათა გაფანტოს „შეგრძნება... რომ ქვეყნის იურიდიულ სისტემას იყენებენ პოლიტიკური მიზნებისთვის". სახელმწიფო დეპარტამენტმა ამავე დროს განაცხადა, რომ არ მიაჩნია, თითქოს თბილისი ცვლიდეს საგარეოპოლიტიკურ კურსს, მაგრამ საქართველოში უკანასკნელი მოვლენები ქმნიან გამოწვევებს ქვეყნის ევროინტეგრაციის გზაზე.

### „ძნელია, ირწმუნო"

**პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე მიიჩნევს „რთულად" — ირწმუნოს საქართველოს ექს-მინისტრების ზეპირი განცხადებები საქართველოს საგარეოპოლიტიკური კურსის მიზანმიმართული შეცვლის შესახებ, თუ ისინი არ წარმოადგენენ უფრო დასაბუთებულ ინფორმაციას.** მისი სიტყვებით, საზოგადოებრიობის ეჭვი ღრმავდება იმ ფაქტითაც, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ამჟამინდელმა მეთაურმა ჯერ განაცხადა ქვეყნის საფრთხის შესახებ ევროატლანტიკურ გზაზე, შემდეგ თავადვე უარყო თავისი ეს შიში.

**„ბერუჩაშვილის რომელ განცხადებას უნდა ენდო? მთელმა ამ ისტორიამ გახმაურებულ გადადგომებს არასერიოზული ეფექტი მიანიჭა",** — განაცხადა საყვარელიძემ „ამერიკის ხმის" რუსულ სამსახურთან ინტერვიუში.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ საქართველოს აუდიტის სახელმწიფო სამსახურმა დაიწყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროში შემოწმება ჯერ კიდევ შარშან, პროკურატურამ კი — 5 თვის წინათ. ამის გათვალისწინებით, საყვარელიძეს უცნაურად მიაჩნია, რომ თავდაცვის ექს-მინისტრმა ადრე არ განაცხადა ევროინტეგრაციის საფრთხის შესახებ, თუკი იგი მართლა არსებობდა.

**„იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო გაერთიანება წინა მთავრობის ჩინოვნიკების დაკავებას აღიქვამს ურწმუნოდ, სავსებით შესაძლებელია, ირაკლი ალასანიამ გამოიყენა ეს მომენტი იმისთვის, რომ მიეღო საერთაშორისო მხარდაჭერა და ამით შეეცადა, ხელი შეეშალა გამოძიების მსვლელობისთვის თავდაცვის სამინისტროში შესაძლო დარღვევათა გამოვლენასთან დაკავშირებით",** — აღნიშნა რამაზ საყვარელიძემ.

### „შევამციროთ ტემპი"

**უშიშროებისა და საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხების შესწავლის ცენტრის ხელმძღვანელი ნიკა ჩიტაძე დარწმუნებულია, რომ უკანასკნელმა მოვლენებმა საქართველოში შეიძლება „დაამუხრუჭონ ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესი".** მისი სიტყვებით, ხელისუფლების განცხადებები იმის შესახებ, რომ საქართველოს დასავლურ კურსს ალტერნატივა არ გააჩნია, საკმარისი არ არის და რომ საქართველომ უნდა მოახდინოს, უწინარეს ყოვლისა, ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრირება დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების გზით. ჩიტაძეს მიაჩნია, რომ საქართველოს ხელმძღვანელობის მოქმედებები ხელს არ უწყობს მათს განმტკიცებას.

**„საერთაშორისო გაერთიანებას ჯერ კიდევ დარჩა შეკითხვები საქართველოს სასამართლოსა და პროკურატურის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით. მაგალითად, ჩვენმა პარტნიორებმა გააკეთეს რამდენიმე გაფრთხილება სააკაშვილის მთავრობიდან ჩინოვნიკების სისხლის სამართლის დევნასთან დაკავშირელბით. ამ ფონზე ერთდროულად სამი სისხლის სამართლის აღძვრამ თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების წინააღმდეგ არ შეიძლება არ გამოიწვიოს ეჭვები. ბუნებრივია, ამან, აგრეთვე სხვა ფაქტორებმა შეიძლება შეანელონ ინტეგრაციის ტემპი",** — უთხრა ჩიტაძემ „ამერიკის ხმის" რუსულ სამსახურს.

ექსპერტმა განმარტა, რომ „სხვა ფაქტორებში" ის გულისხმობს საქართველოს ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის როლს რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჩიტაძე დარწმუნებულია ირაკლი ალასანიას, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის განცხადებების სისწორეში, რომელთა თანახმადაც ივანიშვილი კვლავ მართავს ქვეყანას „კულისებიდან".

**„ქვეყნის ხელმძღვანელობის მუშაობაში ასეთი ჩარევა არღვევს დემოკრატიას და გამორიცხავს განვითარებას დასავლური გაგებით",** — აღნიშნა ნიკა ჩიტაძემ.

Voice of America

## დედამიწის ზურგზე



**ბელარუსს სურს, დაეხმაროს ევროკავშირის ქვეყნებს, გვერდი აუარონ რუსეთის საპროდუქტო ემბარგოს**

**ბელარუსის ეკონომიკის მინისტრმა ნიკოლაი სნოპკომ განაცხადა, რომ უკრაინაში მიმდინარე სამხედრო კონფლიქტმა შეიძლება უბიძგოს ბელარუსს უფრო მჭიდრო თანამშრომლობისკენ დასავლეთთან. მინსკი, კერძოდ, მზად არის მოახდინოს რუსეთის ფედერაციაში აკრძალული ევროპული პროდუქტების რეექსპორტირება. ყოველთვის ამის წინააღმდეგ მყოფი მოსკოვი, თითქოს ამჯერად თავს იკავებს.**

* * *

**რადიკალური პარტია უარს იტყვის, შევიდეს კოალიციაში, თუ უკრაინა რუსეთისგან შეისყიდის ქვანახშირს**

**უკრაინის ენერგოგენერირებულმა კომპანიამ „ცენტრენერგომ" განაცხადა, რომ ქვანახშირის დეფიციტის გამო გააფორმა ხელშეკრულება რუსეთის ფედერაციასთან მის მიწოდებაზე. შეთანხმების თანახმად, ქვეყანაში წლის ბოლომდე გაიგზავნება 509 ათასი ტონა ქვანახშირი ერთ ტონაში 80 დოლარის ფასად.**



* * *

**უკრაინის უშიშროების სამსახურში გამორიცხეს მინსკის ფორმატში ახალი შეხვედრების ალბათობა**

**„მინსკი — 2 არ იქნება. ჩვენ გვაქვს მინსკი — 1 და ის შეთანხმებები, რომლებიც შეიძლება შევასრულოთ და რასაც ტერორისტები არ ასრულებენ", — განაცხადა უკრაინის უშიშროების საბჭოს სამსახურის ხელმძღვანელის მრჩეველმა მარკიან რუბკოვსკიმ. ადრე კიევი და სეპარატისტები ბრალს სდებდნენ ერთმანეთს მინსკის შეთანხმებათა დარღვევაში — როგორც დონბასში არჩევნების დროს, ისე ცეცხლის შეწყვეტის შესახებ რეჟიმის დარღვევისთვის.**

* * *

**პოლონეთის მორგში „გაცოცხლდა" 91 წლის ქალი, რომელიც გარდაცვლილად გამოაცხადეს**

**ექიმებს, რომლებსაც ამჟამად ემუქრებათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, არ შეუძლიათ განმარტონ მომხდარი. გრძნობაზე რომ მოსულიყო, პენსიონერს 11 საათი დასჭირდა. როდესაც სახლში დაბრუნდა, იანინა კოლკევიჩმა დალია ცხელი ჩაი, მიირთვა წვნიანი კერძი და ორი ბლინი. მისი სიტყვებით, თავს გრძნობს კარგად. მედიკოსებმა იგი მიიჩნიეს გარდაცვლილად, ვინაიდან მას არც პულსი ჰქონდა და გულიც აღარ უცემდა.**



# „ბიზნესნიუიუროუფ": პოლიტიკური კრიზისი საქართველოში — აურზაური არაფრის გამო?

| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 0,3 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 201 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 15 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 15 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 11** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმოწყობილობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაცია. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | გორის მუნიციპალიტეტში, სოფ. მეჯვრისხევის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 6 000 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | გორის მუნიციპალიტეტში, სოფ. მეჯვრისხევის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 175 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 17,5 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 235 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 15 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 15 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 15 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 12** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ექსპლუატაციის შემდგომ ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით;<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება განახორციელოს წინასწარ შედგენილი დამუშავების პროექტის მიხედვით;<br>გ) ობიექტზე სამუშაოების წარმოების პერიოდში დაცული უნდა იქნეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმიანობის მიღებული უსაფრთხოების წესები;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ექსპლუატაციის პროცესში არ შეზღუდოს ნავთობის ჭაბურღილებთან მისასვლელი გზების ფუნქციონირება.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ. სართიჭალის მიმდებარე ტერიტორია, „იორი"-ს კირქვის საბადო (კატეგორია - A+B და $C_2$, მოსაპოვებელი წიაღისეულის (საკირე კირქვის) ჯამური მოცულობა - 700 771 ტ.). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ. სართიჭალის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 27 377 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 2 737,7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 5 675 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 15 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 15 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

## კალათბურთი

# შენგელია – ისევ 20 ქულა ევროლიგაში!

**ზედიზედ მე-2 მატჩია, ქართველი კალათბურთელი თორნიკე შენგელია ევროლიგაში 20 ქულას აგროვებს და ამ ორ თამაშში 1 დაკარგვაც კი არ ჰქონია.**



მე-5 ტურში თოკოს „ლაბორალ კუჩა“ ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ დაუხვდა და 66:86 განადგურდა, ქართველი ფორვარდი კი ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 34 წუთი გაატარა.

აღნიშნულ დროში შენგელიამ 14-დან 6 ორქულიანი და 9-დან 8 საჯარიმო ჩააგდო, სამქულიანი ააცილა და 20 ქულას 5 მოხსნა (2 შეტევაში), 1 ჩაჭრა და 1 პასი წაამატა.

საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს 2-ჯერ დაუფარეს, 4 პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი 5-ჯერ დაჯარიმდნენ. შედეგად, თორნიკეს სარგებლიანობის კოეფიციენტმა 19-ს უწია, რაც მასპინძელთა რიგებში საუკეთესო მაჩვენებელი გახლდათ.

ბასკურმა კლუბმა 20-დან მხოლოდ 3 სამქულიანი ჩააგდო და „ცრვენა ზვეზდას“ ცენტრებს – ბობან მარიანოვიჩს და მაიკ ზირბესს ვერაფერი მოუხერხა. მათ ჯამში 27 ქულა და 13 მოხსნა მოაგროვეს.

„ლაბორალ კუჩას“ 2 მოგება და 3 მარცხი აქვს და D ჯგუფში ჯერაც მე-4 ადგილზე იმყოფება, რაც შემდეგ ეტაპზე გასვლის საშუალებას იძლევა. შენგელია და მისი თანაგუნდელები ევროლიგაში მომდევნო მატჩს 20 ნოემბერს ლიტვაში „ნეპტუნასთან“ ჩაატარებენ.

**ვიტალი ჯაფარიძე**

## ჩოგბურთი

# ფედერერმა ნიშიკორი ნახევარფინალში გაიყვანა



**ლონდონის წლის შემაჯამებელი ტურნირის B ჯგუფის დასკვნით მატჩში როჯერ ფედერერმა ენდი მარეის 6:0, 6:1 მოუგო და დამაჯერებლად დაიკავა პირველი ადგილი. ეს შედეგი აწყობდა იაპონელ კეი ნიშიკორის, რომელმაც ლონდონში ორ მატჩში იმარჯვა და შვეიცარიელთან ერთად ნახევარფინალში გავიდა.**

„მთელი მატჩის განმავლობაში ენდის საკუთარ პირობებს ვკარნახობდი, კორტზე ყველაფერი გამომდიოდა, ამიტომაც შეხვედრის მსვლელობით და შედეგით ფრიად კმაყოფილი ვარ“, – განაცხადა როჯერმა ენდის დაჩაგვრის შემდეგ.

მარეი კი შემდეგი კომენტარით შემოიფარგლა: „როჯერმა დღეს განსაკუთრებით კარგად ითამაშა, მე კი საკუთარი გამოსვლით იმედგაცრუებული ვარ. არცთუ ცუდ ფორმაში ვიმყოფები, ამიტომაც მხოლოდ ერთი გეიმი რომ მოვიგე, ჩემთვისაც მოულოდნელია“.

**კობა კობახიძე**

## ბრძოლა ქარის წისქვილებთან

# ფედერალური ბიურო ფიფას კორუფციული სქემის გამოძიების კუთხით გააქტიურდა

**გამოძიების ფედერალური ბიურო მზადაა უფრო დიდი ძალები გამოყოს ფიფაში არსებული კორუფციული სქემის გამოძიების კუთხით.**

ფიფამ გამოაქვეყნა ყოფილი ამერიკელი პროკურორის მაიკლ გარსიას მოხსენება ორგანიზაციაში არსებულ კორუფციულ სქემასთან დაკავშირებული გამოძიების შესახებ, რომელიც 2018 და 2022 წლების მსოფლიოს ჩემპიონატების მასპინძელი ქვეყნების გამოვლენას ეხებოდა. მოხსენებაში ის პასუხისმგებლობას იხსნიდა და ასევე ამართლებდა რუსეთს და ყატარს. მალევე ამ ფაქტს თავად გარსია გამოეხმაურა, უკმაყოფილება გამოთქვა მოხსენების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით და დაამატა, რომ ფიფას მიერ გამოქვეყნებული ტექსტი სრულად არ შეესაბამებოდა მის მიერ დაწერილ მოხსენებას.

CNN-ის ცნობით, გამოძიების ფედერალური ბიურო ახლა უფრო დაწვრილებით აპირებს ფიფას საქმის შესწავლას. გამოძიება უკვე სამი წელიწადია გრძელდება და აგენტები გეგმავენ, რომ გარსიას მოხსენებასთან სრული წვდომის უფლება მოიპოვონ. გამოძიების მსვლელობისას ისინი ასევე გეგმავენ, რომ ითანამშრომლონ ფიფას ყოფილ მაღალჩინოსნებთან და მათგან მიიღონ დოკუმენტები და ჩანაწერები, რომლებიც კოლეგებთან შეხვედრის დეტალებს ასახავენ.



**გიორგი შოთაძე**

## უმაღლესი სკოლა

# ძველი კერის ახალი სიცოცხლე

**შვიდწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ წლეულს სექტემბერში პირველად გაუღო კარი სტუდენტებს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო უნივერსიტეტმა, რომლის დაარსებაზეც დადგენილებას შარშან ქვეყნის მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა მოაწერა ხელი.**

**რა მდგომარეობაა დღეს აღნიშნულ უმაღლეს სასწავლებელში, ამის შესახებ გვესაუბრება სპორტის უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ხელბურთში საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გურამ ძაგანია:**



– ჩვენთან სპორტის უმაღლესი სასწავლებლის დაარსების იდეა მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ჩაისახა. 1935 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა სპორტის ფაკულტეტი, რომელიც 1938 წელს დედაუნივერსიტეტს გამოეყო და დაფუძნდა, როგორც დამოუკიდებელი უმაღლესი სასწავლებელი საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სახელწოდებით. 1994 წელს მას სახელი შეეცვალა და სპორტის აკადემიის სტატუსი მიენიჭა. 2007 წლის 11 ივლისს მთავრობის დადგენილებით სპორტის აკადემია გაუქმდა და იგი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს ფაკულტეტად მიუერთეს. რამდენიმე წლის შემდეგ კი ამ უმაღლესმა სასწავლებელმა სპორტის ფაკულტეტზე უარი თქვა. ეს არის მოკლე ისტორია 70-წლიანი სასპორტო უმაღლესი სასწავლებლისა, რომლის იუბილეს აღნიშვნაც ვერ მოვასწარით, ისე გაგვიუქმა იგი წინა მთავრობამ. არადა, 2006 წელს საქართველოში პირველებმა გავიარეთ ბოლონიის პროცესთან მისადაგებული პროგრამული აკრედიტაცია, რომლის შედეგებითაც 5 წელიწადი შეგვეძლო ფუნქციონირება 2007 წლის სექტემბრიდან. მითქვამს და გავიმეორებ – სპორტის აკადემიის გაუქმება და მისი სხვა უმაღლესი სასწავლებლისთვის ფაკულტეტის ფორმით მიერთება, როგორც მაშინდელი სპორტისა და კულტურის მინისტრი გოკა გაბაშვილი ბრძანებდა, სპეციალისტების უკეთ მომზადების მიზნით, რბილად რომ ვთქვა, ხალხის მოტყუება იყო, რადგან სპორტის აკადემიის ტერიტორიის გამოთავისუფლება და შემდეგ მისი აუქციონზე გაყიდვა ჰქონდათ გამიზნული. საწადელს ვერ მიაღწიეს, რადგან ჩვენი საქმე სასამართლოში განიხილებოდა და ამ ადგილის შეძენის მსურველები აუტკივარი თავის ატკივებას მოერიდნენ.



ექვსი წელიწადი პერმანენტულად ვიბრძოდით სამართლიანობის აღსადგენად. მივაღწიეთ იმას, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, რაც მთავრობა შეიცვალა, საქართველოში სამართლიანობის აღდგენა ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის რეაბილიტაციით დაიწყო. პარლამენტის სხდომაზე სპორტისა და ახალგაზრდობის კომიტეტის თავმჯდომარემ, სახელოვანმა ფალავანმა ლერი ხაბელოვმა დააყენა საკითხი სპორტის აკადემიის აღდგენის შესახებ. როგორც კი ახალი მთავრობა შეიქმნა, სპორტის სამინისტრომ ოფიციალური განაცხადი შეიტანა და 2013 წლის 28 მარტს საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ხელი მოაწერა განკარგულებას საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის უნივერსიტეტის დაფუძნების შესახებ.

**– 2014-2015 სასწავლო წლისთვის სტუდენტთა მიღებაზე რას იტყვით?**

– უნივერსიტეტის დაფუძნების შემდეგ წესრიგში მოვიყვანეთ სასწავლო პროგრამები, ჩამოვაყალიბეთ სტრუქტურა და შევქმენით უამრავი დოკუმენტაცია ავტორიზაციის გასავლელად. ყველაზე მტკივნეული და საძნელო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწესრიგება იყო. 2007 წლის შემდეგ აქ ყველაფერი გაუჩანაგებიათ: იატაკი აუყრიათ, კარ-ფანჯრები ჩაულეწავთ. მსგავს რამეს, ალბათ, ბარბაროსებიც არ ჩაიდენდნენ. სასწავლებლის პირველი და მეორე სართულების მოწესრიგების შემდეგ 19 მაისს ავტორიზაცია გავიარეთ, 30 მაისამდე კი სპორტის უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების მსურველებს ხელახალი რეგისტრაციის საშუალება მისცეს. კონკურსის შედეგებით სპორტის უნივერსიტეტი მაღალკვალიფიციური კადრებით დავაკომპლექტეთ..

**– არაფერი გვითქვამს სტუდენტთა კონტინგენტზე...**

– დღეს განსაკუთრებით კატასტროფული მდგომარეობაა საჯარო სკოლებში: სტატისტიკური მონაცემებით, ფიზკულტურის 4176 მასწავლებლიდან, რომლებიც დღეს განათლების სამინისტროს სისტემაში მუშაობენ, ფიზიკური აღზრდის სპეციალისტია მხოლოდ 1637, ხოლო დარჩენილი კონტინგენტიდან 800-ს საერთოდ უმაღლესი სასწავლებელი არც კი დაუმთავრებია. სკოლებში სპეციალისტების დეფიციტითაა განპირობებული მოზარდების სუსტი ფიზიკური აღზრდა, სქოლიოზი, მომრავლებული ნარკომანია. როგორც უწინ, ამჯერადაც სპორტის უმაღლეს სასწავლებელს ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა-დამკვიდრებაში უდიდესი მისია ეკისრება.

ამ გადახვევის შემდეგ ისევ თქვენს შეკითხვას დავუბრუნდები: სამი ფაკულტეტის - მწვრთნელთა, პედაგოგიურ, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის – გახსნა გვქონდა გამიზნული, მაგრამ განათლების სამინისტრომ პედაგოგიურ ფაკულტეტზე თავი შეიკავა – ეს არისო რეგულირებადი სპეციალობა, რომელსაც, ავტორიზაციის გარდა, აკრედიტაციაც სჭირდება, რასაც წლეულს ვერ მოვასწრებდით, ამიტომ ორ სპეციალობაზე შევჩერდით – მწვრთნელთა და ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია. ბაკალავრიატის პროგრამით განაცხადი შემოიტანა 150-მა აბიტურიენტმა, რომლებმაც შიდა ტური გაიარეს, ეროვნული გამოცდების შემდეგ კი 58 პირველკურსელი დაგვიბრუნდა. ამ კონტინგენტს დაემატა მობილობით 21 სტუდენტი. ასე რომ, ამჟამად პირველ კურსზე 79 სტუდენტი გვყავს, 27-მედიცინა-რეაბილიტაციის, დანარჩენი კი მწვრთნელთა ფაკულტეტზე. მათთვის ახალი ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები გვაქვს პირველ-მეორე სართულებზე, ასევე უახლესი კომპიუტერული ცენტრი, ბიბლიოთეკა, საპროფესორო.

**– მესამე-მეოთხე სართულების კეთილმოწყობა რატომ ვერ მოხერხდა?**

– მესამე სართული ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კოლეჯს დროებით სარგებლობაში დავუთმეთ. გაარემონტეს და კეთილმოაწყვეს. 163 მოსწავლე ჰყავთ. 2015 წელს თბილისი ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალს უმასპინძლებს. მისი დამთავრების შემდეგ, როგორც სამინისტროში გვითხრეს, ოლიმპიური სოფლის მთელი ინფრასტრუქტურა და სპორტული ბაზები, შესაძლოა, სპორტის უნივერსიტეტს გადმოეცეს და ჩვენი უმაღლესი სასწავლებელიც იქ გადავიდეს. ვნახოთ.

**– ამჟამინდელ სპორტულ ბაზებზეც მინდა გკითხოთ...**

– მთავრობის დადგენილებით ყველაფერი დაგვიბრუნდა, რაც უწინ სპორტის აკადემიას ეკუთვნოდა. კერძოდ, 40.000 კვადრატული მეტრი ტერიტორია ოთხი საჩოგბურთო კორტით, სტადიონი ოთხი სარბენი ბილიკით, მინიფეხბურთის მოედანი, ძალოსნობის დარბაზი. სასწავლო კორპუსში ოთხი დარბაზია, მაგრამ ისინი ისეა გაპარტახებული, რომ მათი აღდგენა წლეულს ვერ მოესწრება, ამიტომ სასპორტო კომპლექს „არენის“ ხელმძღვანელობასთან გავაფორმებთ მემორანდუმს, რომლის მიხედვითაც ჩვენი სტუდენტები იქაური ბაზებით ისარგებლებენ...

**ვაჟა დანელია**

**ავტორის ფოტო.**

## ინტერნეტიდან

# „რაიო ვალეკანოს“ ერთგული კრისტინა პედროჩე

**ესპანეთში ცნობილი სპორტული ჟურნალისტი და ფეხბურთის თავგადაკლული ქომაგი კრისტინა პედროჩე აცხადებს, რომ მხოლოდ და მხოლოდ ბინძური ჭორებია საუბრები იმის შესახებ, რომ თითქოს მან საყვარელი კლუბი გამოიცვალა და კატალონიის „ბარსელონას“ ქომაგი გახდა.**

მსოფლიო საფეხბურთო საზოგადოებამ კარგად იცის, რომ ეს ცნობილი ლამაზმანი კარგა ხანია, რაც ესპანეთის ნაკლებად ტიტულოვან კლუბს, მადრიდის „რაიო ვალეკანოს“ გულშემატკივრობს და კრისტინას მტკიცებით, თავისი გუნდის ღალატი არასოდეს უფიქრია.

კრისტინას მხრიდან „რაიო ვალეკანოს“ სიყვარულის შესახებ ლეგენდები დადიოდა და იძახდნენ, როდესაც კრისტინა პედროჩეს სპორტული ამბების გადაცემა მიჰყავს, პროდიუსერები ცდილობენ, ამ ქალმა „ვალეკანოზე“ არაფერი თქვას, თორემ ემოციებისგან თავს ვეღარ იკავებსო. აბა ასეთ ქალზე ჭორების აგორება იქნებოდა?!...

**როსტომ რაჭველიშვილი**



## სანთელი

# თამაზ ლაფერაშვილი

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს იმის გამო, რომ გარდაიცვალა საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის ყოფილი სოლისტი, პედაგოგი **თამაზ ლაფერაშვილი**.



თამაზ იაკობის ძე ლაფერაშვილი დაიბადა 1935 წ. 1960 წელს დაამთავრა თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია მომღერალი სოლისტის კვალიფიკაციით და იმავე წლიდან დაიწყო მუშაობა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში სოლისტად, სადაც 2009 წლამდე იმუშავა. 1973-1975 წლებში სტაჟირებას გადიოდა სანკტ-პეტერბურგის კონსერვატორიაში. სხვადასხვა პერიოდში თ. ლაფერაშვილს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გენერალური დირექტორის მოადგილის და სარეჟისორო სამმართველოს უფროსის თანამდებობა ეკავა.

თ. ლაფერაშვილი ვოკალისტთა საკავშირო კონკურსისა და მოსკოვის ახალგაზრდობის და სტუდენტობის მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი გახლდათ. მან გასტროლებით შემოიარა როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის, ისე უცხოეთის ქვეყნები, კერძოდ, პოლონეთი, ბულგარეთი, ჩეხეთი, იუგოსლავია, ავსტრალია და სხვა.

თ. ლაფერაშვილს საოცრად ლამაზი ტემბრის ბანი ჰქონდა. მის მიერ შესრულებული პარტიები დიდი მუსიკალურობითა და მაღალი საშემსრულებლო ოსტატობით გამოირჩეოდა. თეატრში მუშაობის მანძილზე თ. ლაფერაშვილმა დაუვიწყარი სასცენო პერსონაჟები შექმნა, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა: ბორის გოდუნოვის, პიმენის და ვარლაამის პარტიები მ. მუსორგსკის ოპერაში „ბორის გოდუნოვი“; ფილიპი ჯ. ვერდის ოპერაში „დონ კარლოსი“; ლეპორელო ვ.ა.მოცარტის ოპერაში „დონ ჟუანი“; გრემინი და რენე პ.ჩაიკოვსკის ოპერებში „ევგენი ონეგინი“ და „იოლანტა“; რუსლანი გლინკას ოპერაში „რუსლანი და ლიუდმილა“; კონჩაკი ა.ბოროდინის ოპერაში „თავადი იგორი“; დონ ბაზილიო ჯ. როსინის ოპერაში „სევილიელი დალაქი“; მეფისტოფელი შ. გუნოს ოპერაში „ფაუსტი“; დონ პასკუალე გ. დონიცეტის ამავე სახელწოდების ოპერაში და სხვა.

წლების მანძილზე თამაზ ლაფერაშვილი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სპეციალობისა და კამერული მუსიკის განხრით. მის აღზრდილებს შორის არიან რეზო ლაგვილავა (კამერული კლასი), ლადო ათანელი (კამერული კლასი), ნუგზარ გამგებელი (კამერული კლასი), მიხეილ კოლელიშვილი (სპეციალობა), გია გაგნიძე (კამერული კლასი, სპეციალობა) და მრავალი სხვა. თამაზ ლაფერაშვილის აღზრდილები დღესაც ამშვენებენ მსოფლიოს საოპერო სცენებს.

თამაზ ლაფერაშვილი ძალზედ კეთილშობილი და ყველას მიმართ თბილი პიროვნება იყო. მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება ახლობლების, მეგობრებისა და კოლეგების გულში.

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 15 ნოემბერს.

გამოსვენება 16 ნოემბერს, 14 საათზე.

მისამართი: დ/დიღომი, იოანე პეტრიწის ქუჩა №15, ბინა №1.

**თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექცია და კოლეგები**

---

ფრიდონ თოდუა ოჯახით თანაუგრძნობს ბატონ რუსლან რუსიას ძვირფასი დედის

**ნორა პლატონის ასული ჩარკვიანი-რუსიას**

გარდაცვალების გამო.

---

ნოდარ ემუხვარი ოჯახით თანაუგრძნობს ბატონ რუსლან რუსიას დედის

**ნორა პლატონის ასული ჩარკვიანი-რუსიას**

გარდაცვალების გამო.

---

რეზო გაგუა ოჯახით თანაუგრძნობს ბატონ რუსლან რუსიას დედის

**ნორა პლატონის ასული ჩარკვიანი-რუსიას**

გარდაცვალების გამო.

---

თანაგრძნობას ვუცხადებ ჩემს ძველ და ერთგულ მეგობარს, გამორჩეულ ჟურნალისტს რუსლან რუსიას ძვირფასი დედის

**ნორა პლატონის ასული ჩარკვიანი-რუსიას**

გარდაცვალების გამო.

**ნინო ხოფერია**

---

აბელ გეგია ოჯახით გულწრფელად თანაუგრძნობს ცნობილ ჟურნალისტსა და უკეთილშობილეს ადამიანს რუსლან რუსიას დედის

**ნორა პლატონის ასული ჩარკვიანი-რუსიას**

გარდაცვალების გამო.

---

თამაზ ცინცაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაეცვალა უახლოესი მეგობარი

**თამაზ (პოჩო) ლაფერაშვილი**

დაკრძალვა 16 XI, 14 სთ. მისამართი: დიდი დიღომი, ი. პეტრიწის ქ. №15, I სადარბაზო.

---

## გარდაიცვალა კახა ბენდუქიძე

# „იყიდება ყველაფერი, სინდისის გარდა“

**საქართველოს ეკონომიკის ყოფილი მინისტრი, „საქართველოს ცოდნის ფონდის“ დამფუძნებელი, თავისუფალი უნივერსიტეტისა და აგრარული უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე კახა ბენდუქიძე ლონდონის ერთ-ერთ სასტუმროში, გულზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ გარდაიცვალა.**

**58 წლის კახა ბენდუქიძემ დაახლოებით ორი კვირის წინათ შვეიცარიის ერთ-ერთ კლინიკაში გულზე სტენტირების ოპერაცია გაიკეთა. ამის შემდეგ კი ლონდონში იმყოფებოდა, სადაც, სავარაუდოდ, სწორედ გადატანილი ოპერაციის გართულების შემდეგ გარდაიცვალა.**

რუსეთში მრავალი წლის განმავლობაში მცხოვრები ბენდუქიძე საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ დაბრუნდა და 2004 წლის ივნისში საქართველოს მთავრობის წევრი გახდა — იყო ეკონომიკის მინისტრი, შემდეგ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი, მოგვიანებით კი რეფორმების კოორდინირების საკითხებში სახელმწიფო მინისტრად დაინიშნა.

გამინისტრებამდე პროფესიით ბიოლოგსა და რუსეთში მცხოვრებ ქართველ ბიზნესმენს, საქართველოში ცოტა თუ იცნობდა. მოსკოვში ახალგაზრდა წავიდა ასპირანტურაში სასწავლებლად. ცოტა ხანს პროფესიით იმუშავა — ლაბორატორიის გამგე იყო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტში, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ამ საქმიდან ხეირი არ იქნებოდა და რუსეთში სამეწარმეო საქმიანობას მიჰყო ხელი. შექმნა მძიმე ინდუსტრიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი კომპანია —„გაერთიანებული მანქანათმშენებელი ქარხნები“. ხელმძღვანელობდა ნავთობის სახალხო საინვესტიციო-სამრეწველო გაერთიანება „ნიპეკს“, „პრომტორგბანკის“ დირექტორთა საბჭოს, გემთმშენებელი გაერთიანება „ალმაზის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეც იყო. ხელმძღვანელობდა „ურალმაშის“ დირექტორთა საბჭოსაც. იყო რუსეთის მეწარმეთა და მრეწველთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტი და ხელმძღვანელობდა საგადასახადო-საბიუჯეტო კომიტეტს.

საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ კი, კახა ბენდუქიძე რუსეთში საქმიანობას ჩამოშორდა. იქიდან მოყოლებული ეკონომიკის ყოფილი მინისტრის თაოსნობით საქართველოში არაერთი მნიშვნელოვანი და საჭირო რეფორმა განახორციელა, მათ შორის, ჯანდაცვის, ენერგეტიკის, ფინანსური სექტორის, შრომის ბაზრისა და სხვა მრავალ სფეროში.

მიუხედავად წარმატებული რეფორმებისა, საქართველოში მას ხშირად ადანაშაულებდნენ არასწორი რეფორმების გატარებასა და საქართველოს ქონების გაყიდვაში. ეკონომიკის მინისტრობისას მან თითქმის ყველა სტრატეგიული ობიექტი გაყიდა: „მადნეული“, „თბილისის წყალი“, „თელასი“ და მასთან მიბმული ენერგოსადგურები, აგრეთვე „კვარციტი“, ფეროშენადნობთა ქარხანა, „აზოტი“, „ყაზტრანსგაზი“, „ელმავალმშენი“, საკომუნიკაციო სისტემები და „რაო ეესისთვის“ გადაცემული სადგურები. ბენდუქიძემ სააკაშვილის ხელმძღვანელობით გაყიდა ბათუმისა და ფოთის პორტები, ენგურჰესი. ამის თაობაზე „უხერხულ“ შეკითხვებს კი კახა ბენდუქიძე თავისი ცნობილი ფრაზით პასუხობდა — იყიდება ყველაფერი, სინდისის გარდა.



სახელმწიფო სამსახურიდან საგანმანათლებლო სექტორში გადასული ბენდუქიძე საჯაროდ იშვიათად ჩნდებოდა მანამდე, ვიდრე 2013 წლის მაისში აგრარულ უნივერსიტეტს ავტორიზაცია არ შეუწყვიტეს, რასაც სტუდენტთა პროტესტი მოჰყვა. ავტორიზაცია უნივერსიტეტს მალევე აღუდგა, თუმცა, ბენდუქიძის წინააღმდეგ ბრალდებების სერია გაგრძელდა. ზესტაფონის მოსახლეობა კახა ბენდუქიძეს სოფელ საქარის ღვინის უნიკალური ენოთეკის გამო დაუპირისპირდა. მოსახლეობის თქმით, ეკონომიკის ყოფილმა მინისტრმა 17 000 ღვინის ბოთლი ჩალის ფასად — თითო 23 თეთრად — შეიძინა და რაიონიდან მათ გატანას გეგმავდა. ენოთეკის დამცველები ამბობდნენ, რომ საქარის მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო ცენტრი 130 წლისაა და მასში ჩამოსხმული ღვინის პირველი ბოთლი 1905 წლით თარიღდება. 2011 წელს პრემიერ ნიკა გილაურის ბრძანებით, საქარის საცდელი სადგური აგრარულ უნივერსიტეტს შეუერთდა და ის ბენდუქიძის ხელში აღმოჩნდა. აგრარული უნივერსიტეტის ბაზაზე ირიცხებოდა ასევე მეაბრეშუმეობის ინსტიტუტი, რომლის დემონტაჟი და ქართული აბრეშუმის ჭიის კვერცხების განადგურებაც ბენდუქიძეს უკავშირდება.

საქართველოში ჩამოსვლამდე, 2003 წელს რუსი სპეციალისტები კახა ბენდუქიძის ქონებას 64 მილიონ დოლარად აფასებდნენ. 2004 წელს ეკონომიკის მინისტრის რანგში შევსებულ დეკლარაციაში კი კახა ბენდუქიძის საკუთრებაში იყო ბინა მოსკოვში, რომელიც იმხანად 444 ათას დოლარად იყო შეფასებული, მოსკოვის სამრეწველო-სავაჭრო ბანკის დეპოზიტზე კი 170 მილიონი რუბლი ერიცხებოდა.

უკრაინაში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ უკრაინის პრეზიდენტის პეტრო პოროშენკოს მიწვევით, კახა ბენდუქიძე უკრაინის მთავრობის ეკონომიკური მრჩეველი გახდა. ამიტომ გასაკვირიც არ არის, რომ კახა ბენდუქიძის გარდაცვალება დიდი დანაკლისი აღმოჩნდა უკრაინის მთავრობისთვის.

„მწუხარებას გამოვთქვამ კახა ბენდუქიძის გარდაცვალების გამო და ვუსამძიმრებ მის ახლობლებს, ასევე იმ მილიონობით ადამიანს, ვისთვისაც კახა ბენდუქიძე იყო და არის დიდი ცვლილებების მამოძრავებელი ძალა“, — დაწერა პეტრო პოროშენკომ „ტვიტერზე“.

კიევის მერმა ვიტალი კლიჩკომ კი აღნიშნა, რომ უკრაინის მთავრობის ქართველი მრჩევლის გარდაცვალება დიდი დანაკლისია.

„არასდროს დამავიწყდება მისი ფრაზები — თუ არ დაიწყებთ რეფორმების გატარებას, ხალხი ამ კაბინეტებიდან გამოგიტანთ“, — ასე გამოეხმაურა უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსპიკერი კახა ბენდუქიძის გარდაცვალებას.

**მარი ჯავახიშვილი**

---

## ინფორმაცია

### ბედი უპატრონო ცხოველებისა

**ქვეყანაში ცხოველთა თავშესაფრის არარსებობა ცხოველთა დაცვის კუთხით უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს. ამის შესახებ საქართველოს ცხოველთა დაცვის ფედერაციის წარმომადგენელმა თემურ ლაჭყებიანმა განაცხადა.**

**ლაჭყებიანმა გუშინ პრესკონფერენცია 11 ნოემბერს, თბილისის საკრებულოში, გარემოს დაცვის კომისიის სხდომასთან დაკავშირებით გამართა და, ზოგადად, ქვეყანაში ცხოველთა დაცვის პრობლემებზე ისაუბრა. ლაჭყებიანის თქმით, საკრებულოს აღნიშნულ კომისიას არ აქვს უფლება გადაწყვიტოს კერძო თავშესაფრის ბედი. იგი მიიჩნევს, რომ აღნიშნული სხდომა სასამართლოს ტიპის იყო და მხარეების დაპირისპირება მოხდა, რისი მსგავსიც საკრებულოს არ ახსოვს.**

**ლაჭყებიანის თქმით, ბიზნესმენი თამაზ ელიზბარაშვილი აკეთებს იმას, რასაც ხელისუფლება უნდა აკეთდებდეს ცხოველთა დაცვის კუთხით. მან დასძინა, რომ თავშესაფარში რვა მურა დათვია. ლაჭყებიანმა გააკრიტიკა გარემოს დაცვის სამინისტრო და აღნიშნა, რომ იგი ქმედითუუნაროა, რადგან ქვეყანაში არ არსებობს გარეული ცხოველების თავშესაფარი, სადაც ეს დათვები განთავსდებოდნენ. ლაჭყებიანმა ქვეყანაში ცხოველთა დაცვის კუთხით არსებულ პრობლემებზეც ისაუბრა, კერძოდ, მან ქუთაისსა და ბათუმში ცხოველთა თავშესაფრების არარსებობაზე და, ამ მხრივ, არსებულ მძიმე პრობლემებზე. მისივე თქმით, ცხოველთა თავშესაფრების არარსებობა ცხოველთა დაცვის კუთხით უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს.**

◉ საზოგადოება

# საქმეგამოლეულთა „რაინდობის" კვალდაკვალ

**სხვისა რა მოგახსენოთ, მაგრამ საკმაოდ ხშირად ისეთი შთაბეჭდილება იქმნება ხოლმე, თითქოს მავანთ საქმე გამოლევიათ, გარკვეულად აჟიტირებელ თემას აიტაცებენ და მერე ზოგიერთი გადაყვითლებული მასმედიის საშუალებით თუ ნაირ-ნაირი „საპროტესტო" აქციებით თითქოსდა თავის „მოქალაქეობრივ აღშფოთებას" გამოთქვამენ ამა თუ იმ მოვლენის თუ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესის მიმართ.**




ერთი ასეთი თემა ბოლო დროს ჩვენში ქალთა მიმართ ძალადობის დაუშვებლობა გახდა. იქნებ ვინმეს შემჩნეული აქვს და სათანადოდ აღნუსხულიც, რომ ბოლო დროს საზოგადოებაში ძალადობის გრადუსმა იმდენად მოიმატა, და ეს განსაკუთრებით ქალბატონების მიმართ ხდება, რომ ყველანი ამ არაკაცრობის საშინელ გამოვლენასთან საბრძოლველად სასწრაფოდ უნდა დავირაზმოთ და მოძალადეებს კუდით ქვა ვასროლინოთ?! სიმართლე გითხრათ, ასეთი განცდა არც სატელევიზიო ახალი ამბების ცქერისა თუ მოსმენის დროს გამჩენია, რომლებსაც ზოგიერთი ტელე თუ რადიოარხი გაურკვეველი მიზეზით გულმოდგინედ სწორედ ამ ტიპის ინფორმაციის გადმოცემით იწყებს, არც ქალაქში მოარული ამბების გაგებისას მქონია. თორემ, განა რომელიმე სალ ჭკუაზე მყოფ, წესიერ მამაკაცს, მით უმეტეს მეუღლესა და მამას, ოჯახის უფროსს შეიძლება აზრად ცოლის, საკუთარი შვილების დედის დაჩაგვრის სურვილი გაუჩნდეს, თანაც ამან სულ რამდენიმე კვირაში ისეთი მასშტაბი მიიღოს, რომ ჩვენი ძვირფასი დედები, დები, მეუღლეები, ქალიშვილები, გნებავთ, უბრალოდ ქუჩაში გამვლელი ქალბატონები ასე ამხედრებულად დასაცავები გახდნენ? გასაგებია, რომ საზოგადოებაში ძალადობის ცალკეული შემთხვევები, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს ეს, ყოვლთვის იყო, არის და, ალბათ, მომავალშიც იქნება, მაგრამ საქმე იქამდე მისული ნამდვილად არ არის, რომ თბილისის ქუჩები, მიწისქვეშა გადასასვლელები, შენობების ფასადები ვიღაც მასხარების უკბილო „სახულიგნო" ლოზუნგებით იყოს მოფენილი — „არა ქალკლა!" „ცოლი საკუთრება არ არის!" „ქალი — ადამიანია!" და ა. შ. ამ აშკარად არაფრის მთქმელი „ლოზუნგებით" რუსთაველის მოედანზე ძეგლის პოსტამენტიც კი „დაამშვენეს" აშკარად საქმეგამოლეულმა ჯეელებმა. მაგრამ, საბედნიეროდ, არიან დედაქალაქში ის კაცები, ვინც ამას მხოლოდ თბილისის იერის შებილწვად აღიქვამენ და ასეთ წარწერებს დიდხანს არ აჩერებენ. ასეთი კაცები შეურაცხყოფას არა თუ ქალს, დაუმსახურებელ საყვედურს, დარწმუნებული ვარ, უცხო კაცსაც არ ეტყვიან.

**ოთარ ტურაბელიძე**

**ელგუჯა ნადარეიშვილის** ფოტო.

◉ ტესტი

# მბრძანებლური პიროვნება ბრძანდებით?

**ამის განსაზღვრაში დაგეხმარებათ ტესტი. როდესაც შეკითხვებს წაიკითხავთ, უპასუხეთ მათზე მაქსიმალურად სწრაფად.**

**1. მტკიცედ გრძნობთ თავს ხალხში?**
ა) დიახ; ბ) არა.

**2. თუ დავაში აგებთ, ძალიან ღიზიანდებით?**
ა) დიახ; ბ) არა.

**3. ყოველთვის შეგიძლიათ პატიოსნად უთხრათ ადამიანს, რომ არ მოგწონთ მის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხი?**
ა) დიახ; ბ) არა.

**4. შეგიძლიათ უთხრათ უარი სხვებს მათს თხოვნაზე?**
ა) დიახ; ბ) არა.

**5. თუ იცმევთ ისე, რომ ყურადღება მიიქციოთ?**
ა) დიახ; ბ) არა.

**6. ხშირად იხდით ბოდიშს?**
ა) არა; ბ) დიახ.

**7. ერიდებით გაბედული, მოულოდნელი გადაწყვეტილებების მიღებას, განსაკუთრებით თუ მხარდაჭერას არ ელოდებით გარედან?**
ა) არა; ბ) დიახ.

**8. აღარ ჩაიცვამთ იმ ტანსაცმელს, თუ ვინმე დაგცინებთ მის გამო ან იტყვის, რომ იგი არ გიხდებათ?**
ა) არა; ბ) დიახ.

**9. ადვილად ემორჩილებით წესებსა და მითითებებს?**
ა) არა; ბ) დიახ.

**10. ჩვეულებრივად გირჩევნიათ ილაპარაკოთ ის, რასაც ფიქრობთ, მიუხედავად შედეგებისა?**
ა) დიახ; ბ) არა.

**11. ხშირად გჭირდებათ მეგობრები, რომლებსაც შეუძლიათ დაგამშვიდონ და გაგამხნევონ?**
ა) არა; ბ) დიახ.

**12. ზოგჯერ აიძულებთ სხვა ადამიანებს, გამოიყურებოდნენ მეწვრილმანედ ან სულელად?**
ა) დიახ; ბ) არა.

**13. თუ ეთანხმებით მტკიცებას, რომ კაცის ბედი მის ხელშია?**
ა) დიახ; ბ)არა.

**14. ხშირად არ ემთხვევა თქვენი აზრი ირგვლივ მყოფთა აზრს?**
ა) დიახ; ბ) არა.

**15. ცდილობთ, რომ თავი აარიდოთ სამუშაოს, რომელშიც ბევრი გაუთვალისწინებელი სირთულე შეიძლება აღმოჩნდეს?**
ა) არა; ბ) დიახ.

**ყოველ პასუხზე „ა" დაიწერეთ 2 ქულა, პასუხზე — „ბ" — 0 ქულა. შეაჯამეთ ქულები და გაეცანით დასკვნებს**

**0-10 ქულა**. თქვენ, ეტყობა, ერთგვარად მორცხვად და შებორკილად გრძნობთ თავს, თუ ძალიან გამოირჩევით. აშკარა ლიდერობა და სურვილი, რომ, რადაც უნდა დაგიჯდეთ, იყოთ მბრძანებელი —თქვენი საქმე არაა.

**12-22 ქულა**. გიწოდოთ თქვენ მბრძანებელი პიროვნება, ალბათ, არ შეიძლება. შეიძლება, ამისთვის არ გყოფნით გარკვეული აგრესიულობა, სადღაც კი — დაჟინებაც. მაგრამ თქვენ შეგიძლიათ ზუსტად გამოხატოთ თქვენი აზრი და მისცეთ კარგი რჩევა გარშემომყოფებს, თუმცა, არა ყოველთვის აკვიატებული ფორმით.

**24-30 ქულა**. სიჯიუტე თქვენთვის უცხო არ არის. ამას გარდა, როგორც ჩანს, თქვენ მტკივნეულად აღიქვამთ, როდესაც გითითებენ, თუ რა უნდა გააკეთო. მზადაც კი ხართ გარკვეულწილად შეურიგდეთ არაპოპულარობას, თუ დამოუკიდებლობის ფასი ასეთია. ეს მბრძანებლური ხასიათის ნიშნებია. ზოგიერთ სიტუაციაში ეცადეთ, იყოთ უფრო რბილი და დამთმობი.

რეკლამა
29 9-62-77;
568 82-09-84.

◉ კადრი



**პაციენტთა საყურადღებოდ!**

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში", თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

◉ ცინცხალი ანეკდოტები

**ჩემს** ცოლს საშინელი ხელი აქვს, მისი ხელნაწერის გარჩევას გრაფოლოგიური ექსპერტიზის გარეშე კაცი ვერ შეძლებს. აი, ამ დილითაც, სამსახურში რომ წავიდა, სამზარეულოში რაღაც ნაჯღაბნი დამიტოვა, ვერაფერი ვერ გავიგე: რა უნდა მექნა აივანზე გატანილი ხალიჩისთვის, ვერ მივხვდი, რა თავში უნდა მეხალა მტვერსასრუტი, აზრზე ვერ მოვედი, საკუთარი ლოგინისთვის რა უნდა მექნა, ვერ მოვიფიქრე, ისევე, როგორც ვერ მივხვდი სავსე ნაგვის ვედროსთვის რა უნდა მომეხერხებინა. ერთადერთი წინადადება, რომელიც გარკვევით, ლამაზი ხელით ეწერა, იყო: „საჭმელი მაცივარშია, გააცხელე, ცივი არ ჭამო. ლუდი საყინულეშია, უცბად ნუ დალევ, აცადე, ცოტა შეთბეს!"



* * *

— **ვაი**, დედიკო, რომ იცოდე, კისერი როგორ მტკივა, ჩემო მიხო!
— რათა გტკივა, ჯო?
— რათა და წუხელ წელი გამიცივდა და მარომ ჭაჭით დამიზილა.
— მერედა, კისერი რაღა შუაშია, ვეჟო?
— როგორ თუ რა შუაშია?! გიცდია როდესმე ჭაჭის წელიდან ალოკვა, ჰა-ა?

* * *

— **ექიმო**, მიშველე, გენაცვალე, ვკვდები!
— ახლავე, ბატონო ახლავე-ე!

* * *

**ავტომანქანის** ტარების ინსტრუქტორი ქერათმიან ქალიშვილს არიგებს:
— მთავარია, ჩემო კარგო, შემხვედრი მანქანების გასწრებას ნუ ეცდები!

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24